განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

აკაკი - წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვაიდოტას ვილიუნასი, დამოუკიდებელი კონსულტანტი, ლიეტუვა

წევრები:

თანათავმჯდომარე მიტრა ამინი, შირაზის უნივერსიტეტი, ირანი

ეკატერინე ბაკარაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ფიფია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ოლეგ ქვლივიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ავთანდილ თავხელიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკა გეგეშიძე, ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს გენერალური დირექტორი, დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველო

შოთა სილაგაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინ უნივერსიტეტის, სტუდენტი

თბილისი
2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ) დაარსდა ცხრა ათეული წლის წინ და არის ერთ-ერთი უდიდესი მულტიდისციპლინური რეგიონული უნივერსიტეტი საქართველოში. 2010 წელს აწსუ სამი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ინტეგრაციის სახით ჩამოყალიბდა. 2006 წელს გაერთიანდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად, 2010 წელს მას შეუერთდა სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავია, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება და დასაქმების შესაძლებლობები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის. ამ მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და გაღრმავების პროცესში, აწსუ აქტიურად თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით, დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ხარისხიან განათლებას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით; ხოლო შესაბამისი კომპეტენციების განვითარების გზით, ხელს უწყობს მათ დასაქმებას.

უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია - ცხრა ფაკულტეტი: 1. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; 3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; 4. პედაგოგიური; 5. მედიცინის; 6. საინჟინრო-ტექნიკური; 7. საინჟინრო-ტექნოლოგიური; 8. აგრარული; 9. საზღვაო-სატრანსპორტო.

2024 წლიდან, აწსუ ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამას (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მედიცინის ერთსაფეხურიან, მასწავლებელთა მომზადების (ერთწლიანი) და ქართულ ენაში მომზადების პროგრამას (100 საგანმანათლებლო პროგრამა - 44 ბაკალავრიატის, 42 სამაგისტრო, 8 სადოქტორო, 3 ერთსაფეხურიანი, 1 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, 2 ერთწლიანი (60 კრედიტი) პროგრამა).

ამჟამად უნივერსიტეტს ჰყავს 9001 სტუდენტი (მათგან 5601-ის სტატუსი შეჩერებულია), მათგან 758 საერთაშორისო (აქედან 96-ის სტატუსი შეჩერებულია).

უსდ-ის პერსონალის საერთო რაოდენობა, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩათვლით არის 1450. მათ შორის არის 474 აკადემიური პერსონალია, რომელიც შედგება 82 პროფესორისგან, 332 ასოცირებული პროფესორისგან, 60 ასისტენტ-პროფესორისგან. დაწესებულებას არ ჰყავს სამეცნიერო პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 458 (80 პროფესორი, 324 ასოცირებული პროფესორი და 54 ასისტენტ-პროფესორი). გარდა ამისა, უსდ-ს ჰყავს 414 მოწვეული თანამშრომელი, 21 ადმინისტრაციული თანამშრომელი და 541 დამხმარე პერსონალი, საიდანაც 245 მუდმივია და 296 კი კონტრაქტით დაქირავებული.

უნივერსიტეტი არის პროფესიული განათლების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი იმერეთის რეგიონში. უნივერსიტეტმა, წლების განმავლობაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში დადებითი გამოცდილება და მაღალი კომპეტენცია დააგროვა .

თითოეულ ფაკულტეტს აქვს შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროფილი, რომელშიც ფაკულტეტზე არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, განისაზღვრება ფაკულტეტის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები/ქვემიმართულებები.

უნივერსიტეტში კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას უზრუნველყოფს როგორც კვლევაში ჩართული კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, ასევე დოქტორანტების სწავლა-სწავლებისა და კვლევით პროცესებში ჩართვა.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტებში მონაწილეობის კუთხით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე აღიარების ამაღლებას.

უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესები განიხილება როგორც ეფექტური ინსტრუმენტი საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

აწსუ მსოფლიოს 100-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს. უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ინსტიტუციური განვითარების 25-ზე მეტ საერთაშორისო პროექტში. უნივერსიტეტი არის პირველი რეგიონული და მეოთხე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც 2016 წელს, ERASMUS+ პროექტის ფარგლებში , პროექტის კოორდინატორი გახდა. პროექტის საფუძველზე უნივერსიტეტში დაინერგა ომბუდსმენის თანამდებობა და უნივერსიტეტი გახდა ENOHE-ს (უმაღლეს განათლებაში ომბუდსმენთა ევროპული ქსელი) წევრი. უნივერსიტეტი არის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, როგორიცაა WHO, AMEE, AMSE, Universitaire de la Francophonie და სხვა. აწსუ იყო ERASMUS+ პროექტის „რეგიონული უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (RURD) კოორდინატორი. ამ პროექტის ფარგლებში მოეწყო რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენცია.

უნივერსიტეტი, საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, ახორციელებს სრულად დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს ყველა საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. 2023 წელს მსგავსი გაცვლითი პროგრამები ევროპისა და აზიის 25 უსდ-ში განხორციელდა.

უნივერსიტეტმა გააფორმა ორმაგი დიპლომის აღიარების ხელშეკრულება იტალიის ლ’აკვილას უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზეც, 2022-2023 სასწავლო წელს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა საკუთარი სამაგისტრო ნაშრომები დაიცვეს და 2022 წელს ორმაგი მაგისტრის დიპლომი მიიღეს. 2023 წელს მსგავსი შეთანხმება გაფორმდა სილეზიის უნივერსიტეტთან საინჟინრო სფეროში.

უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ბიოსამედიცინო ინჟინერიას“ (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით) და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებებს“ (თსუ, ბსუ და თესაუ).

უნივერსიტეტი განახორციელა აქტივობების ფართო სპექტრი უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად. კერძოდ, აწსუ მონაწილეობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოფენებში: ჰელსინკი, ნიუ-დელი (Uni Agent UNICA), იოჰანესბურგი, აშშ NAFSA, ჰოლანდია, ჰაიდერაბადი (ინდოეთი). მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვანმა და ინგლისურენოვანმა ერთსაფეხურიანმა პროგრამებმა საერთაშორისო აკრედიტაცია 2021 წელს წარმატებით გაიარა.

2021-2024 წლებში, უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობდა ERASMUS+ პროექტში „უნივერსიტეტების მესამე მისია“ (SQUARE 3M), რომელიც ასახავდა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის როლს და მის მნიშვნელობას რეგიონულ და სახელმწიფო განვითარებაში .

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

2024 წლის 12-15 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა აწსუ-ს ქუთაისისა და ფოთის კამპუსები და შეხვედროდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. ვიზიტის დაწყებამდე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში (SER) და დამხმარე დოკუმენტები, ადგილზე ვიზიტისთვის მოსამზადებლად. თუმცა, ამ დოკუმენტებში არსებული ნაკლოვანებების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე დამატებითი დოკუმენტი (განსაკუთრებით ინგლისური ვერსიები) გამოითხოვა აწსუ-დან ვიზიტამდე და ვიზიტის დროს. ვიზიტის დროს, აღნიშნული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს ნაწილობრივ მიაწოდეს. ზოგიერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის არარსებობამ, ექსპერტთა ჯგუფს შეუზღუდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი სფეროს გაგება როგორც ვიზიტამდე, ისე ვიზიტის დროს.

გარდა წარმოდგენილი დოკუმენტებისა, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დაა გააანალიზეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, როგორც ინფორმაციის კიდევ ერთი წყარო. თუმცა, ვებ-გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ატვირთული არ არის. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დოკუმენტის ინგლისურენოვანი ვერსია მიუწვდომელი იყო.

ექსპერტები ქუთაისში მედიცინის ფაკულტეტის კამპუსს 12 ივნისს (ვიზიტის პირველი დღე) ეწვივნენ. 13 ივნისს (ვიზიტის მეორე დღე), შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადმინისტრაციული დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ქვე-დანაყოფების წარმომადგენლებთან, კათედრების ხელმძღვანელებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაიყო ორ ჯგუფად, რათა შეხვედრები გაემართათ მედიცინის პროგრამასთან და დანარჩენ პროგრამებთან; კერძოდ, 14 ივნისს (დღე 3), ისინი შეხვდნენ პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს, მათ შორის დოქტორანტებს და კურსდამთავრებულებს (გარდა მედიცინის პროგრამისა) . 15 ივნისს (მე-4 დღე) გაიმართა შეხვედრა დამსაქმებლებთან და მოეწყო ქუთაისის კამპუსის ტური; მათ შორის, ექსპერტებმა დაათვალიერეს არქივი, სპორტული ობიექტები, სასწავლო და საკონფერენციო დარბაზები, ცენტრები და არასამედიცინო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი და საერთო საცხოვრებლი . ვიზიტის მეოთხე დღის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეადგინეს ადგილზე ვიზიტის წინასწარი მიგნებები და წარუდგინეს რექტორს და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს აწსუ-ს ავტორიზაციის ანგარიშის პროექტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის ფრთხილად ანალიზის შემდეგ, და მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

1. მიღებულია აწსუ-ს არგუმენტები შემდეგ რეკომენდაციებთან დაკავშირებით: 2.1.1.; 3.2.1.; 6.2.1. და ისინი შეცვლილია შესაბამის რჩევებად.

2. უარყოფილია აწსუ-ს არგუმენტები შემდეგ რეკომენდაციებზე: 2.1.2.; 2.2.1.; 2.3.1.; 4.1.3.; 4.2.1.; 5.1.2.; 5.1.3.; 5.1.4.; 5.2.2.; 7.3.1.; 7.4.1.; 7.4.2. და 7.4.3.-ზე და შენარჩუნებულია ისე, როგორც აწსუს ავტორიზაციის დასკვნის პროექტში გამოქვეყნდა, რამეთუ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს ან რამდენადაც აწსუ-ს არგუმენტირებულ პოზიციაში ნახსენები ცვლილებები განხორციელდა ადგილზე ვიზიტის შემდეგ და შესაბამისად, ეს ვერ იქნება გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის წესების მიხედვით.
3. 1.2.1.; 2.2.2; 3.3.1; 4.1.1.; 5.1.2.; 6.3.1-ის რჩევები შენარჩუნდა ისე, როგორც გამოქვეყნებული იყო აწსუ-ს ავტორიზაციის დასკვნის პროექტში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

აწსუ-ს მისიის განაცხადი შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. თუმცა, უნივერსიტეტის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები ავლენენ პოტენციალს და შესაძლებლობებს, რომ შეიმუშაონ უფრო ამბიციური მისია მომავალი სტრატეგიული განვითარების ციკლისთვის.
უნივერსიტეტმა დანერგა სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და
შეფასების პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტური დაგეგმვისა და შეფასების პროცესებს PDCA ციკლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული პროცესი მოიცავს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს ქვემოდან ზევით, ისევე როგორც ყველაზე მნიშვნელოვან გარე დაინტერესებულ მხარეებს.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა შექმნილია მისი სტრატეგიული გეგმის ეფექტიანად განხორციელების მხარდასაჭერად, რასაც მოწმობს ის, თუ როგორ მოაწყო აწსუ-მ თავისი შიდა სტრუქტურები და პროცესები სტრატეგიული ინიციატივებისა და მიზნების განსახორციელებლად, მისი ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს უწყობს დეცენტრალიზებულ მმართველობას და აძლიერებს უნივერსიტეტის რეაგირებას საზოგადოების საჭიროებებსა და მესამე მისიაზე. თუმცა სასურველია საერთაშორისო სტუდენტების ჩართვა მართვის ორგანოებში, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის გაფართოება მასში საერთაშორისო სტუდენტების ჩართვით. ასევე სასურველია ვორქშოპების ან საორიენტაციო პროგრამების ჩატარება, რომლებიც მიზნად ისახავს, წაახალისოს საერთაშორისო სტუდენტები, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში.

სასურველი იქნებოდა, გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა და გაცვლითი შესაძლებლობები როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის (IQA) ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანი განახლებები განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს სწავლის, კვლევისა და მართვის პროცესებს და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის მუშაობის თითოეული პროცესი შეესაბამებოდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.

საუნივერსიტეტო გამოკითხვებში სტუდენტების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის გამო, სასურველია დაიხვეწოს საუნივერსიტეტო მასშტაბის გამოკითხვის მეთოდოლოგიები, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო საიმედო და ქმედითი უკუკავშირი, რაც გადამწყვეტია ხარისხის უზრუნველყოფის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხარისხის ამაღლების მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების საფუძვლიანი განხილვა და შეფასება.

მიზანშეწონილია უსდ ქონდეს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სპეციალურად შექმნილია მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგებისთვის, IQA პროცესების ეფექტურობის შემდგომი გაზრდისთვის.

აწსუ-ს აქვს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას აკადემიურ საქმიანობაში. **თუმცა, მიზანშეწონილია გაიზარდოს სტუდენტური ვორქშოფები ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, უნივერსიტეტის ეთიკის კულტურის გასაძლიერებლად.**

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, მიზანშეწონილია ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის გაღრმავება, დოკუმენტების თარგმნა და ინგლისურენოვანი ვერსიების ატვირთვა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ ხელმისაწვდომობას არაქართულენოვანი პირებისთვის.

3. საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყოვლისმომცველი პოლიტიკა მისი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარებისათვის, როგორც ეს ასახულია "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (EP-QA)". ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და დარგობრივ სტანდარტებთან.

აწსუ-მ აღწერა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განახლების პროცედურები ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში, ხოლო შესაბამისი პროცესი დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტების დროს.

თუმცა, სასურველია გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამების შემუშავებისას და სასწავლო პროგრამებში უფრო პრაქტიკული ელემენტების საჭიროებაზე ხაზგასმა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმეტესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური ენა მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის ჩასატარებლად. თუმცა, საჭიროა, რომ ზოგიერთმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა უფრო კარგად იცოდეს ინგლისური ენა.

აწსუ იცავს საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS) პროგრამის შემუშავებისას. მათი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ასახავს კონკრეტულ პროცედურებსა და ინსტრუქციებს. სასურველია, რომ შეიტანოთ უფრო მეტი არჩევითი საგნები, რომლებიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში.

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. აწსუ ხაზს უსვამს სტუდენტების შეფასების სისტემაში გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის სასწავლო გეგმები, სილაბუსები და უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ასახავს შეფასების სისტემას.

4. უსდ-ს პერსონალი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს პერსონალის დაქირავებას, შერჩევას, შეფასებას და განვითარებას, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აყვანის გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ პროცედურებს. ეს პროცესები რეგულირდება პერსონალის მართვის დოკუმენტით - სახელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია 2018 წელს.

თუმცა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2018), შესაძლოა პერიოდულად განახლდეს, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციიდან გამომდინარე. უმაღლეს განათლებაში დინამიური ცვლილებები საჭიროებს უფრო ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოზიდვას პროგრამებისთვის.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა შესაძლებელია რომ გაუმჯობესდეს.

აწსუ-ს აქვს სემესტრული დატვირთვის განახლებადი სქემა აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სწავლებას, კვლევას და სხვა პასუხისმგებლობებს, მათზე დაკისრებულ როლებსა და მოვალეობებზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მას უკავია აკადემიური ან კვლევითი თანამდებობა, მაგრამ დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების შესწავლამ ცხადყო, რომ არ არსებობს აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის გარეთ არსებული სასწავლო დატვირთვის მონიტორინგის მკაფიო მექანიზმები. უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მონიტორინგისთვის, რეკომენდებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენება, შიდა მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები -მეტწილად შესაბამისობაშია მთხოვნებთან

აწსუ ახორციელებს სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამებს; უსდ-მ თითოეულ საფეხურზე შეიმუშავა და დანერგა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და მიღებული განათლების აღიარების წესები, ასევე შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისთვის შემდგომი განათლების მიწოდების მექანიზმები. ეს პროცესი რეგულირდება აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №87 (23/24) დადგენილებით 28.02.2024წ.; ეს წესი და პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი.

თუმცა, რეკომენდებულია დარედაქტირდეს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“ და ამოღებულ იქნას ამ დოკუმენტიდან ვადაგასული მუხლები.

სასურველია აწსუ-ს ვებგვერდზე განთავსდეს ყველა საჭირო დოკუმენტი (სტუდენტის სტატუსის წესის, სტიპენდიების მინიჭების, სწავლის საფასურის გადახდის შესახებ, ეთიკის კოდექსს და სხვებს) როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. გარდა ამისა, ყველა უცხოელ სტუდენტს უნდა ჰქონდეს წვდომა ელექტრო-სერვისებზე.

სასურველია სტუდენტების უფლებების, მოვალეობებისა და სხვა სამართლებრივი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების გაძლიერება ასევე, სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ყველა კონტრაქტის ფორმას დაემატოს თავი „სტუდენტების უფლებების“ შესახებ.

აწსუ ცდილობს შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რაც თავისთავად არის საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელების გარანტი. უსდ იზიარებს და ახორციელებს სხვა დაწესებულებებისა და წყაროების კარგ პრაქტიკებს, მაგალითად, ომბუდსმენისა და ფსიქოთერაპევტის სერვისებს.

თუმცა, სტუდენტთა დასაქმების პორტალი და ვებ-გვერდი სასურველია განახლდეს სათანადო ინფორმაციით, ახალი ვაკანსიებით და დასაქმების მეტი შესაძლებლობა უნდა იყოს შეთავაზებული სტუდენტებისათვის. მიზანსეწონილია მედიცინის პროგრამის, გაცვლითი შესაძლებლობების გაზარდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და პროცედურა სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის/პროექტების გრანტებისთვის.

სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტიპენდიის ოდენობა სტუდენტური ცხოვრების მხარდასაჭერად და მათი მოტივაციის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის გაზარდოს უცხოელი სტუდენტებისთვის სტიპენდიის მიღების შესაძლებლობები.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის კონტაქტები შეიძლება გაძლიერდეს, რათა გაიზარდოს სტუდენტების ცნობიერება აკადემიური და კარიერული განვითარების შესახებ.

6. კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

უნივერსიტეტი ახორციელებს საქმიანობას კვლევისა და განვითარების სფეროში, რომლის მიზანია ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამრეწველო და სხვა სახის ინოვაციური განვითარება.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი განხორციელების შედეგების მონიტორინგზე, ხოლო კვლევის განვითარების პოლიტიკის განხორციელებას და შეფასების და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინაციას უწევს ფაკულტეტი.

კვლევითი საქმიანობა განიხილება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის განვითარებას და საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის ეფექტურ ინსტრუმენტად, ადამიანური, ფინანსური, მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებით.

სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების დიზაინი, სტრუქტურა, წყაროები ძალიან კარგი ხარისხისაა.

თუმცა, მიზანშეწონილია უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის კონტრაქტებში კარგად განისაზღვროს ავტორების ინტელექტუალური საკუთრების საკითხი.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კვლევის დაფინანსების მასშტაბი 30%-ით გაიზარდა. სახსრები, ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად. უნივერსიტეტში სადოქტორო სწავლების პროცესი 30%-ით ფინანსდება.

თუმცა, სასურველია დოქტორანტურის სტუდენტებისთვის დამატებითი გადასახადის (პრემიის) ნაწილის მიცემა, მას შემდეგ რაც ისინი მაღალი იმპაქტ ფაქტორის ჟურნალში კვლევით სტატიას გამოქვეყნებენ. დოქტორანტები კვლევის ერთ-ერთი მთავარი ავტორები არიან.

უნივერსიტეტი ავითარებს კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის სისტემას, ერთიანი პლატფორმის გამოყენებით და იყენებს კვლევითი საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს (ERASMUS+ პროექტი „საქართველოს უსდ-ების კვლევის შესაძლებლობების გაზრდა R&D Units/HERD-ის განვითარების გზით“).

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა წახალისების სისტემა მაღალი რანგის ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებისთვის. უნივერსიტეტი ავითარებს სისტემას პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად და კარგი სამეცნიერო პრაქტიკის წახალისების მიზნით (ERASMUS + პროექტი „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY) 2017-2022“ და „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში (ETHICS)“ (2023-2027).

უნივერსიტეტს შეუძლია გაზარდოს ცნობადობა ეროვნული რეიტინგის სისტემაში პოზიციის გასაუმჯობესებლად.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მდიდარი მატერიალური რესურსები, აქტივების ბალანსის ღირებულება 28 165 376 ლარია, ისტორიული ღირებულების გაანგარიშებით კი , საბაზრო ღირებულება შეიძლება ორჯერ მეტი იყოს. ორგანიზაციის კუთვნილი შენობების საერთო ფართია 68994,89$მ^2$, მათ შორის საერთო სასწავლო ფართი– 44832$მ^2$ და დამხმარე ფართი, რომელიც მდებარეობს ქუთაისსა და ფოთში.

თუმცა უნივერსიტეტის შენობების მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთი შენობა გარემონტებას საჭიროებს. ზოგიერთ აუდიტორიაში მერხები უნდა შეიცვალოს. ზოგიერთი სველი წერტილი (სანიტარული ბლოკი) საჭიროებს ადაპტაციას; უნივერსიტეტმა დაიწყო სამუშაოები ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

უნივერსიტეტს აქვს მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები, მათ შორის წიგნების არქივი, სამკითხველო დარბაზები, პერსონალის სივრცე, შეხვედრების ადგილი და ჯგუფური სამუშაოების ადგილი, ასევე IT აღჭურვილობის სივრცე. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 60 საათის განმავლობაში. უნივერსიტეტის სტუდენტებსა და წარმომადგენლებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე.

აწსუ მუშაობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განახლებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინფრასტრუქტურაზე, რომელიც შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს პროცესებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებას. ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების მექანიზმები. უნივერსიტეტს აქვს IT რისკების მართვის

პროცედურები; უზრუნველყოფილია მონაცემთა (მათ შორის პერსონალური მონაცემების) ადეკვატური და ეფექტური დაცვა და საინფორმაციო სისტემის ეფექტურობის შეფასება.

აწსუ-ის მიმდინარე ბიუჯეტი 30 მილიონი ლარია, მათ შორის 4,5 მილიონი ლარი წინა წლის ბიუჯეტიდან დანაზოგია. ბიუჯეტი გათვალისწინებულია სახაზინო მოთხოვნების შესაბამისად. ბიუჯეტი სამოქმედო გეგმის მიხედვით არ არის მოწოდებული და არ არის ნაჩვენები ბიუჯეტის კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან. უნივერსიტეტი ეფექტურად განკარგავს დანაზოგს, იგი იდება დეპოზიტზე და იღებს საპროცენტო სარგებელს. ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია, დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია, რაც უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ და ეფექტურ მართვას, ხოლო უსდ-ისთვის ხელმისაწვდომი სახსრები არის ადეკვატური და საკმარისი, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების ეფექტურად შესასრულებლად.

უსდ-მ დაიწყო „საბუღალტრო პოლიტიკის“ განხორციელება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ტერიტორიული ორგანოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის. საფინანსო ანგარიშები ადასტურებენ ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს, სამართლიანობასა და სისრულეს.

მაგრამ უნივერსიტეტის მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ფრაგმენტულია. უნივერსიტეტს არასოდეს გაუკეთებია ინდივიდუალური გარე ან შიდა აუდიტი.

ამიტომ უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს გარე აუდიტი სამი მიმართულებით: ფინანსური, ეფექტურობის და შესაბამისობის. აუდიტორს უნდა ჰქონდეს მოქმედი IPSAS სერტიფიკატი.

უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს გამჭვირვალობა; არსებობს საკმარისი რისკები - რესურსების ლეგალური, ეკონომიური, მდგრადი, ეფექტური და პროდუქტიული გამოყენების მიმართულებით.

სასურველია უნივერსიტეტის ბიუჯეტის ჩამოყალიბება სამოქმედო გეგმის მიხედვით, იყოს მიკვლევადი და დაკავშირებული შესაბამის KPI-ებთან.

რეკომენდაციები

2.1.1. რეკომენდებულია საერთაშორისო პროექტების და გაცვლითი შესაძლებლობების რაოდენობის გაზრდა როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

2.2.1. რეკომენდებულია დაიხვეწოს საუნივერსიტეტო მასშტაბის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო სანდო და ქმედითი უკუკავშირი.

2.2.2. რეკომენდებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების განხილვა და შეფასება და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება .

2.2.3. რეკომენდებულია უსდ-ში სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ჩართვა, რომელიც სპეციალურად შექმნილია IQA (შიდა ხარისხის უზრუნველყოფის) პროცესებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მოხსენებისთვის.

2.3.1. რეკომენდებულია „ეთიკის კოდექსის“ და „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის“ ინგლისურენოვანი ვერსიების თარგმნა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთვა, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს არაქართლენოვანი სტუდენტებისთვისაც.

4.1.1. ანალიზებისა და კვლევების არარსებობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალურ დონეზე შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა.

4.1.2. უნივერსიტეტისათვის რეკომენდებულია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე პროგრამებში მეტი ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.

4.1.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური, რათა ასწავლონ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე. თუმცა, არსებობს საჭიროება, რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.

4.2.1. რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და შიდა მონიტორინგის მექანიზმების გამოყენება, რათა განხორციელდეს უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი.

5.1.1. რეკომენდებულია აწსუს ვებ-გვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება (სტუდენტის სტატუსის შესახებ წესი, გრანტების მიღება, საფასურის გადახდა და ა.შ.) როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

5.1.2. რეკომენდებულია ყველა საერთაშორისო სტუდენტისათვის ელექტრონულ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა

5.1.3. რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების, განსაკუთრებით კი უცხოელი სტუდენტების ინფორმირებულობა ეთიკის კოდექსის შესახებ და ხელმისაწვდომი გახდეს (კოდექსი) ქართულ და ინგლისურ ენებზე აწსუს ვებგვერდზე.

5.1.4. რეკომენდებულია დარედაქტირდეს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის შემდგომი განათლების მიწოდების მექანიზმები“ და ამოღებულ იქნეს ვადაგასული მუხლები.

5.2.1. რეკომენდებულია სტუდენტების დასაქმების პორტალისა და ვებგვერდის შესაბამისი ინფორმაციით, ახალი ვაკანსიებით განახლება და სტუდენტებისათვის დასაქმების მეტი შესაძლებლობების მიწოდება.

5.2.2. რეკომენდებულია გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების გაზრდა მედიცინის სტუდენტებისთვის, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

5.2.3. რეკომენდებულია აწსუ-მ უნდა წაახალისოს არა მხოლოდ მეტი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში, არამედ განახორციელოს სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებულთა (მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით) დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ანალიზი და მიიღოს ზომები შეუსაბამობის შესამცირებლად.

5.2.4. რეკომენდებულია შემუშავდეს და განახორციელდეს გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და პროცედურა სტუდენტების/კურსდამთავრებულების სამეცნიერო საქმიანობაზე/პროექტებზე გრანტის მინიჭებისთვის.

5.2.5.რეკომენდებულია გაიზარდოს საუნივერსიტეტო სტიპენდიის თანხა სტუდენტური ცხოვრების მხარდასაჭერად და სტუდენტების მოტივაციის ხელშესაწყობად, როგორც ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის.

7.1.1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უნდა შეაკეთოს ზოგიერთი შენობა და შეცვალოს მერხები ზოგიერთ აუდიტორიაში.

7.1.2. ზოგიერთი სანიტარული წრტილი საჭიროებს ადაპტაციას, უნივერსიტეტმა დაიწყო სამუშაოები ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

7.3.1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ყველა საჭირო საინფორმაციო სერვისი ინგლისურ ენაზე არაქართულენოვანი სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

7.4.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩაატაროს გარე აუდიტი სამივე მიმართულებით: ფინანსური, ეფექტურობის და შესაბამისობის. აუდიტორს უნდა ჰქონდეს მოქმედი IPSAS სერტიფიკატი.

7.4.2 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს გამჭვირვალობა; არსებობს საკმარისი რისკები - რესურსების ლეგალური, ეკონომიური, მდგრადი, ეფექტური და პროდუქტიული გამოყენების მიმართულებით.

7.4.3 რეკომენდებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმის მიხედვით, იყოს მიკვლევადი და დაკავშირებული შესაბამის KPI-ებთან.

რჩევები

1.1.1. სასურველია უფრო ამბიციური და განახლებული მისიის შემუშავება სტრატეგიული განვითარების მომავალი ციკლისთვის.

1.2.1. რექტორის წლიური ანგარიშები სასურველია ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომი იყოს აწსუ-ს ვებ-გვერდზე.

2.1.1. სასურველია საერთაშორისო სტუდენტების ჩართვა მართვის ორგანოებში.

2.1.2. სასურველია ჩატარდეს ვორქშოფები ან საორიენტაციო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტების წახალისებას, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში.

2.2.1. სასურველია გაიზარდოს საკომუნიკაციო ძალისხმევა, რათა უ უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრმა იცოდეს და ესმოდეს IQA პროცესები და მათი გავლენა.

2.2.2. სასურველია ახალი ტექნოლოგიების სრულად ინტეგრირება არსებულ სისტემებთან, როგორიცაა Moodle და e-Dean სისტემა.

2.2.3. სასურველია ტექნიკური ხარვეზების კორექტირება მარეგულირებელი დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში. მოერიდეთ სხვადასხვა სინონიმების გამოყენებას ერთი და იმავე ორგანიზაციული ერთეულების დასახელებისას.

2.3.1. მიზანსეწონილია ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტთა სემინარების გაუმჯობესება უნივერსიტეტის ეთიკის კულტურის განმტკიცების მიზნით.

3.2.1. სასურველია უფრო მეტი გარე დაინტერესებული მხარის შეხედულებების გათვალისწინება პროგრამების შემუშავებისას და ხაზი გაესვას სასწავლო პროგრამებში მეტი პრაქტიკული ელემენტების საჭიროებას .

3.2.2. სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის მეტი არჩევითი საგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

3.3.1. სასურველია შეფასების მთლიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მორგებულია თითოეული აკადემიური პროგრამისა და კურსის კონკრეტულ საჭიროებებზე.

4.1.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიმდინარე წინსვლის გათვალისწინებით, შესაძლებელია 2018 წელს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პერიოდული განახლება.

4.1.2. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს აფილირების პოლიტიკის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

5.1.1. მიზანშეწონილია სტუდენტების უფლებების, მოვალეობებისა და სხვა სამართლებრივი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების გაძლიერება.

5.1.2. სასურველია სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ყველა ხელშეკრულების ფორმაში დაემატოს „სტუდენტების უფლებები“ -ს თავი.

5.2.1. სასურველია გაუმჯობესდეს კონტაქტები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთა ქსელს შორის, რათა გაიზარდოს სტუდენტების ცნობიერება აკადემიური და კარიერული განვითარების შესახებ.

6.1.1. სასურველია ავტორის ინტელექტუალური საკუთრება კარგად იყოს განსაზღვრული უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებაში.

6.2.1. სასურველია დოქტორანტებს მიეცეს დამატებითი თანხის (პრემიის) ნაწილი მას შემდეგ, რაც კვლევითი სტატია გამოქვეყნდება მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში. დოქტორანტი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ავტორია.

6.2.2.ურთიერთგაგების ზოგიერთ მემორანდუმს ვადა გაუვიდა; ამიტომ ან უნდა მოხდეს მათი ამოღება ან განახლება.

6.3.1. უნივერსიტეტი არ არის საკმარისად მაღლა პოზიციონირებული რეიტინგების სისტემებში (ვებომეტრიკის მიხედვით საქართველოში მე-10 ადგილზეა, Times-ის რეიტინგში არ სჩანს). ხილვადობა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის Google Scholar პროფილების გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

3.3.1. OSCE სადგურები იდეალურად იყო დაგეგმილი და ყველა სტუდენტი და გამომცდელი კარგად იყო გადამზადებული OSCE-ს შესახებ. კარგად განვითარებული ცენტრალური ჩაწერის სისტემა ფუნქციონირებდა OSCE -ს თითოეული სადგურის ჩასაწერად და სტუდენტებისთვის უკუკავშირის მისაცემად ჩანაწერების საფუძველზე.

4.1.1. კოლეგიალური დაკვირვება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის გამორჩეული საუკეთესო პრაქტიკა და დანახულია მისი მნიშვნელობა სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ფაკულტეტის წევრებს შორის თანამშრომლობითი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაში**	**მეტწილად შესაბამისობაში**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐

1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ვაიდოტას ვილიუნასი (თავმჯდომარე)
2. მიტრა ამინი (თანათავმჯდომარე)
3. ეკატერინე ბაკარაძე (წევრი)
4. ეკატერინე ფიფია (წევრი)

5. ოლეგ ქვლივიძე (წევრი)
6. ავთანდილ თავხელიძე (წევრი)
7. ეკა გეგეშიძე (წევრი)
8. შოთა სილაგაძე (წევრი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ), ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, აცნობიერებს ქალაქის, რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში საკუთარ პასუხისმგებლობას, იზიარებს „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებს, უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ ძირითად მიზნებს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და მოქმედების პრინციპები 2018 წელს საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 2023 წელს, თვითშეფასების ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მისიის აქტუალობა და მისიის ძველ ტექსტს დაამატა ინტერნაციონალიზაცია და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საჯარო პოლიტიკის ფორმირება; ამგვარად, მისიას აქტუალობა არ დაუკარგავს. უნივერსიტეტის მისიაში ნათქვამია: - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად სამივე საფეხურის აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს; - საერთაშორისო თანამშრომლობით, ინტერნაციონალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართულობით და ინკლუზიური გარემოს შექმნით, წარმართავს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, პროფესიონალებად და ლიდერებად ჩამოყალიბებას. - უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდება, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების მხარდაჭერა.

უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას ქუთაისის, იმერეთის რეგიონისა და საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაზე. უნივერსიტეტი იცავს „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებს და ეროვნული და ევროპული განათლების ფუნდამენტურ მიზნებს.

აწსუ-ს მისიის განაცხადი შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. თუმცა, უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ მოსაზრება, რომ უნივერსიტეტს აქვს პოტენციალი და შესაძლებლობა, შეიმუშაოს კიდევ უფრო ამბიციური მისია სტრატეგიული განვითარების მომავალი ციკლისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აწსუ-ს მისია
- აწსუ-ს ვებგვერდი http://atsu.edu.ge/index.php?lang=en ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

1.1.1. სასურველია უფრო ამბიციური და განახლებული მისიის შემუშავება სტრატეგიული განვითარების მომავალი ციკლისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი) გეგმები.
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა დანერგა სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და შეფასების პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი სამუშაოებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობას. ზემოაღნიშნული პროცედურა ეფუძნება PDCA დაგეგმვის ციკლს და მოიცავს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს ქვემოდან ზევით, ისევე როგორც ყველაზე მნიშვნელოვან გარე დაინტერესებულ მხარეებს.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას და წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის მექანიზმებს; იგი განსაზღვრავს მისი სამომავლო განვითარების პრიორიტეტებს, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების მაჩვენებლებს შვიდი წლის პერსპექტივაში.

უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგია შემუშავდა 2018 წელს. ამ სტრატეგიას აქვს 5 ძირითადი მიმართულება კონკრეტული მიზნებით, მოსალოდნელი შედეგებით და მათი მიღწევის გზებით.

სტრატეგიული გეგმის შემდეგ შემუშავდა სამწლიანი სამოქმედო გეგმები. ეს გეგმები ასახავს განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, შესრულების კრიტერიუმებს და პასუხისმგებლობის ფორმებს. მიზნები და მოსალოდნელი შედეგები დაზუსტებულია მიღწევის ინდიკატორებით, რომლებიც აისახება სტრატეგიის მონიტორინგის გეგმაში.

სტრატეგიული გეგმის განხორციელებისას შემუშავდა სამი სამოქმედო გეგმა (2018-2020; 2021 წლის შუალედური სამოქმედო გეგმა და 2022-2024 წწ.). შუალედური სამოქმედო გეგმა შემუშავდა Covid19-ის გამო.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავდა (2018-2024) საქართველოში უმაღლესი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილებასთან ერთად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დანერგილი იქნა მოქმედებათა გაზომვადი შედეგების (ინდიკატორების) სისტემა, ახალი რეგულაციების ფონზე პროგრესის უფრო ეფექტური მონიტორინგისთვის (ავტორიზაციის სტანდარტის 1.2 მუხლი).

ავტორიზაციის პროცესის მართვის კუთხით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ავტორიზაციის მომზადების პროცესში შეფასდა და შეიცვალა ნორმატიული დოკუმენტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- გადაფასდა და უფრო ეფექტური გახდა უნივერსიტეტში სწავლების, სამეცნიერო საქმიანობის, სტუდენტური მომსახურების, ადამიანური რესურსების პროცედურები;
- გამრავალფეროვნდა უნივერსიტეტის „მესამე მისიის“ საქმიანობები;
- განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი, განვითარდა თანამშრომლობა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელთან.
- უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის დაწესდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტიპენდია (აკადემიური საბჭოს დადგენილება No48.1 (23/24) და მრავალი სხვა.

სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი ყოველწლიურად ტარდებოდა, ხოლო რეკომენდაციები მუშავდებოდა მომავალი წლის სამოქმედო გეგმისთვის. მონიტორინგის ანგარიშები გაანალიზდა და 2024 წელს შემუშავდა ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმის გაუმჯობესებას. 2025-2031 წლების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც დაფუძნებულია SWOT ანალიზის შედეგებზე, შეიცავს 6 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, მიზანს და ქმედებებს, მოსალოდნელი შედეგებით და შესაბამისი ძირითადი სამიზნე ნიშნულებით.

აწსუ-ს სტრატეგია შეიცავს პროფესიული პროგრამების შემუშავების სტრატეგიას, სოციალური პოლიტიკის სტრატეგიას და კვლევის განვითარების პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ აწსუ-მ შეიმუშავა თავისი სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა ან მესამე მისია, რომელიც, ინიციატივების ფარგლებში, განხორციელების პროცესშია, ეს

შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, განსაკუთრებით ხარისხიან განათლებას (SDG 4) და უთანასწორობის შემცირებას (SDG 10).

შემუშავდა 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა (2025-2031 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად). ეს გეგმა ასახავს განსახორციელებელ აქტივობებს, მათ ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს და ჩართულ მხარეებს, მათ შორის ფინანსურ რესურსებს.

უნივერსიტეტის უმაღლესმა მენეჯმენტმა, ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა, ასევე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრებმა გამოავლინეს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, განხორციელების და ანგარიშგების სისტემის თაობაზე სრული ინფორმირებულობა, ასევე დაადასტურეს რომ სათანადოდ გააზრებული აქვთ თავიანთი როლი სტრატეგიული მართვის პროცესებში.

2025-2031 წლების სტრატეგიული დაგეგმვა დაიწყო რექტორის ბრძანებით, რათა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, განახლებულიყო თვითშეფასების ჯგუფი. საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები ფართოდ იყვნენ ჩართულნი დისკუსიაში, მათ შორის უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებთან მისიის განაცხადის შესაბამისობის საკითხის განხილვისას. სტრატეგიის პროექტი აიტვირთა აწსუ-ს ვებ-გვერდზე (პერსონალთან გასაუბრების თანახმად), რათა უზრუნველყოფილიყო აწსუ-ს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა მათი მოსაზრებების შეგროვებისა და შესაბამისად სტრატეგიის პროექტის გაუმჯობესების მიზნით. განხილვის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორმა 2025-2031 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

სტრატეგიული გეგმის შედეგების შეფასება ყოველწლიურად ხდება. ანგარიშგება იწყება სტრუქტურული ერთეულებიდან (ქვემოდან) და მიდის ორგანიზაციის ზედა ნაწილში. რექტორი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს და განხილვის საფუძველზე, ზემოხსენებულ საბჭოსთან ერთად, იღებს გადაწყვეტილებას აუცილებელ ცვლილებებზე. დასკვნები გათვალისწინებულია დაგეგმვის სამომავლო პერიოდისთვის. შესაბამისად, თითოეული ქმედება და შესაბამისი წლიური გეგმა ეფუძნებოდა სტრატეგიულ გეგმას და მონიტორინგის შედეგებს, ასევე წინა პერიოდებში შემუშავებულ რეკომენდაციებს.

სასურველია, რომ რექტორის წლიური ანგარიშები ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომი იყოს აწსუ-ის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და შეფასების პროცედურა;
- 2018-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2025-2031 სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- 2018-2020, 2021 და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმები;
- 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი;
- 2018-2020, 2021 და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშები;
- 2018-2023 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშების ანალიზი;
- რექტორის 2018-2023 წლების ანგარიშები (ქართულ ენაზე);
- პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგია;
- უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის განცხადება და სტრატეგია;
- კვლევების განვითარების სტრატეგია

• უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი აქტივობების ჩამონათვალი; • უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების სტატისტიკა; • Erasmus+ პროექტების ვებგვერდები: http://erasmusplus.org.ge/ka/projects; • ძლიერი მხარეები
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 1.2.1. რექტორის წლიური ანგარიშები სასურველია ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომი იყოს აწსუ-ს ვებ-გვერდზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა შექმნილია მისი სტრატეგიული გეგმის ეფექტიანად განხორციელების მხარდასაჭერად, რასაც ისიც მოწმობს, თუ როგორ მოაწყო აწსუ-მ თავისი შიდა სტრუქტურები და პროცესები სტრატეგიული ინიციატივებისა და მიზნების

განსახორციელებლად, მისი ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით. სტრატეგიულ დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში აწსუ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობის, მათ შორის რექტორისა და პრორექტორების ჩართვა, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის მის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას . უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა მხარს უჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს, როგორიცაა ინტერნაციონალიზაცია, კვლევის გაუმჯობესება და ხარისხის გაუმჯობესება.

თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს, მათ შორის ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებს, აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენციები. ეს სიცხადე მხარს უჭერს ეფექტურ მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას, ასევე თითოეული განყოფილების აქტივობების შესაბამისობას უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან. კარგად განსაზღვრული როლებისა და პასუხისმგებლობების ქონა ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის მაღალი დონის შენარჩუნებას, რაც ფუნდამენტურია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმების წარმატებით განხორციელებისთვის.

აწსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს უკუკავშირის მექანიზმებს მისი IQA სისტემის მეშვეობით, რომელიც მხარს უჭერს სტრატეგიულ გეგმას საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების რეგულარულად გადახედვისა და უნივერსიტეტის მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით. შიდა კვლევებსა და მონიტორინგზე დაფუძნებული უახლესი აქტივობები ხაზს უსვამს, რომ ეს სისტემა ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ოპერაციების მის სტრატეგიულ ამოცანებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს მკაფიო დოკუმენტაციას, მათ შორის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. ეს გეგმები დეტალურად აღწერს პასუხისმგებლობებს, ვადებს და მოსალოდნელ შედეგებს, რაც გადამწყვეტია ეფექტიანი განხორციელებისა და მონიტორინგისთვის. ეს სტრუქტურა ხელს უწყობს სტრატეგიული ინიციატივების ინტეგრაციას ძირითად საქმიანობაში, როგორიცაა სწავლება, კვლევა და საზოგადოების ჩართულობა. დოკუმენტაციამ და ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებებმა გვაჩვენა, რომ არსებობს კეთილსინდისიერი ძალისხმევა სტრატეგიული ინიციატივების ორგანიზაციულ აქტივობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აწსუ-ს მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია, მოიცავს საუნივერსიტეტო საზოგადოებას და შეესაბამება კანონმდებლობას. უნივერსიტეტი იცავს მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესს, რომელიც გაწერილია მის წესდებებსა და რეგულაციებში, რომელთაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო და ზედამხედველობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინკლუზიურობა მხარს უჭერს სამართლიან წარმომადგენლობას მართვის ორგანოებში, როგორიცაა აკადემიური საბჭო, სადაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის პროფესორებსა და სტუდენტებს, აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა და წვლილი შეიტანონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს უწყობს დეცენტრალიზებულ მმართველობას და აძლიერებს უნივერსიტეტის რეაგირებას საზოგადოების საჭიროებებსა და მესამე მისიაზე. თუმცა მიზანშეწონილია საერთაშორისო სტუდენტების ჩართვა მართვის ორგანოებში.

გამონაკლისია მედიცინის ფაკულტეტი, სადაც საბჭოში შედიან საერთაშორისო სტუდენტები, სტუდენტური პარლამენტის მეშვეობით. ეს, სავარაუდოდ, განპირობებულია მედიცინის პროგრამის ინგლისურ ენაზე სწავლებით, რაც იზიდავს საერთაშორისო სტუდენტების მნიშვნელოვან რაოდენობას.

აწსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა აგებულია სტუდენტური პარლამენტით, პრეზიდენტის ოფისით და საბჭოთი. ეს სტრუქტურა ხელს უწყობს სტუდენტების ლიდერობის განვითარებას და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მართვის პროცესში სტუდენტთა აზრისა და უფლებების გათვალისწინების ფორმალურ მექანიზმს. ეს კონფიგურაცია ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობასა და ლიდერობას, აძლევს სტუდენტებს პლატფორმას გავლენა მოახდინონ უნივერსიტეტის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე, რაც გადამწყვეტია ჰოლისტიკური საგანმანათლებლო გარემოსთვის. სტუდენტური თვითმმართველობა არის აქტიური და კარგად ფუნქციონირებს. სტუდენტებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე ვასვკნით, რომ სასურველია ვორქშოპების ან საორიენტაციო პროგრამების ჩატარება, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტების წახალისებას, რათა მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში. ამ პროგრამებით შესაძლებელია სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია თავიანთი როლისა და გავლენის შესახებ.

უსდ-ს ხელმძღვანელობა მოწოდებულია გააძლიეროს ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებით, მათ შორის გაცვლითი პროგრამებით, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობით და ერთობლივი პროგრამის შემუშავებით, ასევე, საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობით და უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაუმჯობესებით, რათა მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები და პროფესორები, რაც აშკარა იყო გასაუბრებისას. Erasmus+ პროგრამები ცენტრალურ როლს ასრულებს აწსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში, ხელს უწყობს რა აკადემიურ გაცვლით პროგრამების, რითაც სარგებლობენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. Erasmus+ სქემის ფარგლებში უნივერსიტეტს აქვს 60 პროგრამა, რაც სერიოზული რაოდენობაა. აწსუ ცდილობს დაამყაროს ალიანსები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან, რამეთუ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარე თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს ერთობლივ პროგრამებსა და გაცვლით პროგრამებს ორგანიზაციის ყველა დონეზე. არსებობს ერთობლივი ძალისხმევა უცხოელი პროფესორების, აკადემიკოსებისა და სტუდენტების მოსაზიდად, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილის და აკადემიური მრავალფეროვნების გასაძლიერებლად. მიუხედავად მცდელობისა, საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პერსონალისა და სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ არცერთ საერთაშორისო პროგრამაში. სტუდენტებისა და პერსონალის ამჟამინდელი რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია გაიზარდოს საერთაშორისო პროექტებისა და გაცვლითი შესაძლებლობების რაოდენობა როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული საწმისწარმოების სისტემა სახელწოდებით „e-flow“. გარდა ამისა, უსდ იყენებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას (edean.atsu.edu.ge). ეს სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს აკონტროლონ თავიანთი პროფილები, სასწავლო ბარათები, საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები და სასწავლო

კურსების სპეციფიკა. ის ასევე იძლევა არჩევითი კურსების, დამატებითი სპეციალობის პროგრამების ელექტრონულ შერჩევას და სხვა აკადემიურ შესაძლებლბოებს. აწსუ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს შესაბამისი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც მოიცავს, კანონის შესაბამისად, ნებისმიერი აუცილებელი რეესტრის წარმოებას. მართვის სისტემა ეფუძნება იმ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. აწსუ-მ შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის მექანიზმები, როგორც ეს აღწერილია დოკუმენტში „ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნების პოლიტიკა და მართვის მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით No57 (19/20), 25.05.2020). დოკუმენტი მოიცავს გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში არსებული ყველა ძირითადი ბიზნეს პროცესის უწყვეტობას, ყველა შესაძლო რისკის გათვალისწინებით. ეს დოკუმენტი ასახავს უნივერსიტეტში სწავლებასთან, სწავლასთან, მეცნიერებასა და მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების და პრევენციის მეთოდებს. იგი ასევე მოიცავს ბიზნესის უწყვეტობის გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს დეტალურ ინფორმაციას აუცილებელ აქტივობებთან, პასუხისმგებელ პირებთან და ვადებთან დაკავშირებით. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტმა შეუფერხებლად გააგრძელოს მუშაობა პოტენციური რისკების პირობებშიც კი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • აწსუ-ს სტრუქტურა; • წესდება და ინსტრუქციები; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები, აწსუ-ს პოლიტიკის დოკუმენტები; • ბიზნესუწყვეტობის შენარჩუნების პოლიტიკა და მართვის მექანიზმები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. • დაწესებულებაში ვიზიტი; • გასაუბრებები; • საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური.
რეკომენდაციები: 2.1.1. რეკომენდებულია საერთაშორისო პროექტების და გაცვლითი შესაძლებლობების რაოდენობის გაზრდა როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.
რჩევები: 2.1.1. სასურველია საერთაშორისო სტუდენტების ჩართვა მართვის ორგანოებში. 2.1.2. სასურველია ჩატარდეს ვორქშოფები ან საორიენტაციო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტების წახალისებას, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის (IQA) ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანი განახლებები განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს სწავლის, კვლევისა და მართვის პროცესებს და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის მუშაობის თითოეული პროცესი შეესაბამებოდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს. აწსუ-ს ხელმძღვანელობა, მათ შორის რექტორი და პრორექტორები, აქტიურად მონაწილეობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებასა და განმტკიცებაში. ეს გვიჩვენებს ძლიერ ინსტიტუციურ ძალისხმევას ხარისხის კულტურის ხელშეწყობისადმი უნივერსიტეტის ყველა დონეზე, რასაც მოწმობს დეტალური დოკუმენტაცია და ადგილზე ვიზიტებისა და ინტერვიუების დროს შეგროვებული ინფორმაცია.

IQA სისტემა აწსუ-ში არის შედეგზე ორიენტირებული და მისი ეფექტურობა პერიოდულად ფასდება რეგულარული ანგარიშგების მეშვეობით. უნივერსიტეტი აქტივობებს ახორციელებს შიდა კვლევებისა და მონიტორინგის საფუძველზე. აწსუ-მ შეიმუშავა საქმიანობის შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა ყველა კატეგორიის პერსონალისთვის, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. ეს სისტემა არის უნივერსიტეტის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. საქმიანობის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

ა) თვითშეფასება და ანგარიშგება: თითოეული სტრუქტურული ერთეული, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტების ჩათვლით, ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ეს ანგარიშები ეფუძნება სტანდარტიზებულ ფორმას, რომელიც აგროვებს დროულ ინფორმაციას ერთეულის საქმიანობის შესახებ. შემდეგ ანგარიშები გამოიყენება სწავლების, კვლევის, სერვისების ხელმისაწვდომობისა და ორგანიზაციული განვითარების ეფექტურობის შესაფასებლად.

ბ) სამუშაო დატვირთვის შეფასება: აკადემიური პერსონალისთვის აწსუ-ს აქვს სამუშაო დატვირთვის შეფასების სპეციფიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს , რომ დაგეგმილი და ფაქტობრივი სამუშაოები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მოლოდინებს. ეს სისტემა უსდ-ს ეხმარება დაიცვას ბალანსი აკადემიურ პერსონალში დავალებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას, რაც ხელს უწყობს სამართლიანობასა და ეფექტურობას.

გ) მართვის ანგარიშვალდებულება: სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შესაბამის საბჭოებს წარუდგინონ წლიური ანგარიშები, მაგალითად, დეკანი წარუდგენს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - წარმომადგენლობით საბჭოს. ეს პროცესი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას დაწესებულების ყველა დონეზე. საქმიანობის შეფასების ეს სისტემატური მიდგომა ეხმარება უნივერსიტეტს, გამოავლინოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც უზრუნველყოფს მყარ საფუძველს პერსონალის განვითარებისა და ორგანიზაციული ზრდისთვის.

ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც გამოვლინდა IQA-ს პროცესში, არის უნივერსიტეტის გამოკითხვებში სტუდენტების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. ამის გაცნობიერებით, აწსუ-ს ვურჩევთ დახვეწოს საუნივერსიტეტო გამოკითხვების მეთოდოლოგიები, რათა უზრუნველყოს უფრო საიმედო და ქმედითი უკუკავშირი, რაც გადამწყვეტია ხარისხის უზრუნველყოფის მუდმივი გაუმჯობესებისთვის .

აწსუ დიდ ყურადღებას უთმობს თავისი სერვისებისა და რესურსების პერიოდულ შეფასებას და აღიარებს, რომ მუდმივი გაუმჯობესება გადამწყვეტია უმაღლესი განათლების მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგსა და შეფასებაში. ეს სამსახური რეგულარულ შეფასებებს ატარებს როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის დონეზე, ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა კოლეგიალური დაკვირვება, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. ამ შეფასებებიდან მიღებული გამოხმაურება გროვდება წლიურ ანგარიშებში, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ოპერაციების დეტალურ შეფასებებს, ხაზს უსვამს წარმატებებს და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ამ მიგნებების საფუძველზე, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს, გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. IQA პროცესების გამჭვირვალობა უნდა გაუმჯობესდეს, კერძოდ დეტალური ანგარიშები და სამოქმედო გეგმები უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის სტუდენტების, ფაკულტეტისა და გარე ორგანოებისთვის. კომუნიკაციის ძალისხმევის გაზრდა უზრუნველყოფს, რომ მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება კარგად იყოს ინფორმირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებსა და მათ გავლენებზე.

დოკუმენტაციამ და გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ აწსუ იჩენს ძალისხმევას, თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის განათლებაზე. ეს ძალისხმევა ასახულია სტრუქტურირებულ სტრატეგიულ და ოპერაციულ დაგეგმვაში, რომელიც მოიცავს დეტალურ აქტივობებს და უწყვეტ მონიტორინგს, რათა დაიცვას საგანმანათლებლო ხარისხი და სტანდარტები. სტრატეგიული გეგმებისა და ქმედებების სიცხადე ხაზს უსვამს მკაფიო პასუხისმგებლობას და მოსალოდნელ შედეგებს, რაც აუცილებელია სტუდენტების განათლებაში ხარისხის ეფექტიანი უზრუნველყოფის და მდგრადობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მაინც გამოვლინდა რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისთვის. საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხარისხის ამაღლების მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების საფუძვლიანი განხილვა და შეფასება. ეს განხილვა უნდა იყოს ფოკუსირებული ამ შესაძლებლობების უფრო მჭიდროდ გათანაბრებაზე

PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლთან, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემატური მიდგომის მუდმივ გაუმჯობესებას.

ცოტა ხნის წინ, აწსუ-მ წამოიწყო ტექნოლოგიის ინტეგრაცია მის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. ისეთი პლატფორმების გამოყენება, როგორიცაა Moodle კომუნიკაციისთვის და e-Dean სისტემა პროგრამების მართვისთვის, შიდა ფოსტის სისტემასთან და გამოცდების მართვის სისტემასთან ერთად, უზრუნველყოფს ტექნოლოგიური მხარდაჭერის ფუნდამენტურ დონეს, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ხელშეწყობას. მიმდინარე ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, იმისათვის რომ უსდ-მ კიდევ უფრო გაზარდოს მისი IQA პროცესების ეფექტურობა, სასურველია, რომ აწსუ-მ ჩართოს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კონკრეტულად მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგებისთვის არის შექმნილი. ასეთი ტექნოლოგია ავტომატურად შეაგროვებს მონაცემებს სხვადასხვა აკადემიური და ადმინისტრაციული წყაროებიდან, სტანდარტიზებულს გახდის მონაცემთა ფორმატებს და აღჭურავს უნივერსიტეტს მოწინავე ანალიტიკური ხელსაწყოებით, ამ მონაცემების ეფექტური ინტერპრეტაციისთვის. ეს არა მხოლოდ შეამცირებს მონაცემთა მენეჯმენტისთვის საჭირო მექანიკურ ძალისხმევას, არამედ გაუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებებში გამოყენებული მონაცემების სანდოობას, რაც აძლიერებს უმაღლესი სასწავლებლის უნარს შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტები. სასურველია ახალი ტექნოლოგიების სრულად ინტეგრირება არსებულ სისტემებთან, როგორიცაა Moodle და e-Dean სისტემა. შესაბამისად, უსდ მნიშვნელოვნად აძლიერებს მისი IQA პროცესების საერთო ეფექტურობას და ხელს უწყობს უწყვეტი გაუმჯობესებისა და ანგარიშვალდებულების კულტურას უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების ზოგიერთი ინგლისური ვერსია გრამატიკულად, ლექსიკურად ან სტილისტურად არასწორია. ორგანიზაციული ერთეულების ზოგიერთი სახელწოდება ინგლისურენოვან დოკუმენტებში სხვადასხვა სინონიმების გამოყენებით არის ნათარგმნი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ გამოასწოროთ ტექნიკური ხარვეზები ამ იურიდიული დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში, რათა ისინი უფრო ყოვლისმომცველი იყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

მუდმივი გაუმჯობესების ეს ძალისხმევა ეხმარება უნივერსიტეტს, შეინარჩუნოს თავისი რეპუტაცია ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური მენეჯმენტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, პროცედურები და ანგარიშები;
- წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების დადგენილებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

2.2.1. რეკომენდებულია დაიხვეწოს საუნივერსიტეტო მასშტაბის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო სანდო და ქმედითი უკუკავშირი.

2.2.2. რეკომენდებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების განხილვა და შეფასება და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება .

2.2.3. რეკომენდებულია უსდ-ში სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ჩართვა, რომელიც სპეციალურად შექმნილია IQA (შიდა ხარისხის უზრუნველყოფის) პროცესებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მოხსენებისთვის.

რჩევები:

2.2.1. სასურველია გაიზარდოს საკომუნიკაციო ძალისხმევა, რათა უ უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრმა იცოდეს და ესმოდეს IQA პროცესები და მათი გავლენა.

2.2.2. სასურველია ახალი ტექნოლოგიების სრულად ინტეგრირება არსებულ სისტემებთან, როგორიცაა Moodle და e-Dean სისტემა.

2.2.3. სასურველია ტექნიკური ხარვეზების კორექტირება მარეგულირებელი დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში. მოერიდეთ სხვადასხვა სინონიმების გამოყენებას ერთი და იმავე ორგანიზაციული ერთეულების დასახელებისას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-მ შეიმუშავა და დანერგა მექანიზმები, რომლებიც იცავენ სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და პერსონალის ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა ეთიკის კოდექსი, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებას და სხვა შესაბამის დებულებებს, რომლებიც მოიცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპს.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აწსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი წარმოადგენს ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეთიკურ ჩარჩოებს. დოკუმენტი დეტალურად აღწერს აწსუ-ს ეთიკურ სტანდარტებსა და პრაქტიკებს, ასახავს რა დაწესებულების ძალისხმევას კეთილსინდისიერებისადმი.

აწსუ-ს აქვს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას აკადემიურ საქმიანობაში. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად და აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობისთვის, აწსუ იყენებს

პროგრამულ უზრუნველყოფას "Turnitin"-ს . გასაუბრებებიდან გამოლვინდა, რომ მართალია მაგისტრანტები და დოქტორამნტები კარგად იცნობენ პლაგიატის პოლიტიკას ("დებულება სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ"; "სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ"), ბაკალავრიატის სტუდენტებში ამ მხრივ ცნობიერება არასაკმარისია და სასურველია ამ დონეზე კომუნიკაციის გაუმχობესება. **მიზანშეწონილია გაიზარდოს სტუდენტური ვორქშოფები ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, უნივერსიტეტის ეთიკის კულტურის გასაძლიერებლად.**

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, მიზანშეწონილია ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის გაღრმავება, დოკუმენტების თარგმნა და ინგლისურენოვანი ვერსიების ატვირთვა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ ხელმისაწვდომობას არაქართულენოვანი პირებისთვის.

დაწესებულებას აქვს პლატიაგის გამოვლენის მექანიზმები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური კეთილსინდისიერებისთვის. ეს მექანიზმები მოიცავს პლაგიატის გამოვლენის პროგრამის (Turnitin) გამოყენებას და საგანმანათლებლო ინიციატივებს, აკადემიური ნაშრომის ორიგინალობის მნიშვნელობის ხაზგასმის მიმართულებით.

აწსუ მხარს უჭერს აკადემიურ თავისუფლებას, როგორც ეს გაცხადებულია უნივერსიტეტის პოლიტიკასა და საბჭოს №77 დადგენილებაში, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის განაცხადისა და სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. უნივერსიტეტის ერთგულება აკადემიური თავისუფლებისადმი მის პოლიტიკაში ჩანს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებებიც ადასტურებს, რომ ისინი ამ თავისუფლებას ყოველდღიურ პრაქტიკაში გრძნობენ. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები არა მხოლოდ აღნიშნავს აკადემიურ თავისუფლებას, არამედ განსაზღვრავს მას: აწსუ აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური

პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში. აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფს აღმასვლას ,,თანამედროვე

უნივერსიტეტიდან თავისუფალ აზროვნებამდე“. ამ მკაფიო გაიდლაინებით უსდ უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მუშაობას ინტელექტუალურად ღია გარემოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
- აკაკი წერეთლის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- დებულება სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ;
- დებულება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები: 2.3.1.. რეკომენდებულია „ეთიკის კოდექსის“ და „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის“ ინგლისურენოვანი ვერსიების თარგმნა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთვა, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს არაქართლენოვანი სტუდენტებისთვისაც.
რჩევები: 2.3.1. მიზანსეწონილია ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტთა სემინარების გაუმჯობესება უნივერსიტეტის ეთიკის კულტურის განმტკიცების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აწსუ-მ აღწერა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განახლების პროცედურები ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში, ხოლო შესაბამისი პროცესი დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტების დროს. 2016 წლიდან აწსუ-მ, PDCA ციკლის საფუძველზე, ჩამოაყალიბა და შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სქემა. მოგვიანებით, ის გადაკეთდა ხარისხის უზრუნველყოფის სრულმასშტაბიან პოლიტიკად, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შეფასების და შემუშავების პროცედურებს. ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაინტერესებული მხარეები ხელს უწყობენ პროგრამის შემუშავებას, განხორციელებასა და გადახედვის პროცესს. უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიური პერსონალი , სტუდენტები და, ნაკლები მასშტაბით კურსდამთავრებულები და დამსაქმებლებიც ჩართულნი არიან პროგრამების შემუშავებასა და გადახედვაში. ეს უნივერსიტეტი ახორციელებს 100-მდე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას სხვადასხვა დონეზე, მათი უმეტესობა აკრედიტებულია 2019-2023 წლებში. 2019 წლიდან ამ უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებს დაემატა რამდენიმე ახალი პროგრამა

(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, სერტიფიცირებული MD/PBL ინგლისურ ენაზე).

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების საგანმანათლებლო აქტივობებით დაკმაყოფილებას, კრიტიკული გარე ფაქტორების გათვალისწინებით, და საგანმანათლებლო პროგრამების გარე მოთხოვნებთან სრული თავსებადობის უზრუნველყოფას.

საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა შედგება სამი ეტაპისგან: ინიცირება, შემუშავება და განხილვა.

პროგრამის სამუშაო ჯგუფებმა განსაზღვრეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; შედეგების საფუძველზე - პროგრამის შესაბამისი მიზნები, შეფასების მექანიზმები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა აღწერს მიმდინარე აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად აუცილებელ აქტივობებს/ზომებს და შეფასებისთვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს.

საგანმანათლებლო პროგრამების გადასინჯვისთვის გამოიყენება, ძირითადი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, და კოლეგიალური დაკვირვების პროცესი . მიმდინარე პროგრამების გადასინჯვის ერთ-ერთი მაგალითია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“, რომელიც დაიყო სამ საბაკალავრო პროგრამად „საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო ადმინისტრირება“ და „მასობრივი კომუნიკაცია“, ზემოთ აღნიშნული აქტივობების საფუძველზე. პროგრამის ეს ციკლური შეფასება უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას და განვითარებად საჭიროებებთან ადაპტაციას . აწსუ ზრუნველყოფს გამჭვირვალობას პროგრამის მიმოხილვის დასკვნებისა და გეგმების სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციით .

პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და გადასინჯვის პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მთლიანობაში, დოკუმენტებსა და ინტერვიუების დროს წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა აჩვენა საგანმანათლებლო დიზაინის, მიწოდებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად და მეცნიერულად გადახედვის სტანდარტიზებული მიდგომის მნიშვნელობის გაცნობიერება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყოვლისმომცველი პოლიტიკა მისი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარებისათვის, როგორც ეს ასახულია "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (EP-QA)". ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან და დარგობრივ სტანდარტებთან. აწსუ-ს პოლიტიკის ანალიზი სტრუქტურირებული იქნება შემდეგი ასპექტების ირგვლივ: ჩარჩო და გაიდლაინები; დაინტერესებული მხარეების ჩართულობა; შეფასება და გაუმჯობესება; გამოწვევები და რეკომენდაციები.

აწსუ-ში პოლიტიკის ჩარჩო სტრუქტურირებულია განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტებისა და ეროვნულ და საერთაშორისო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად. ძირითადი ელემენტები მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამების

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ეს პოლიტიკა, რომელიც 2018 წლიდან მოქმედებს, საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მიმართ. აკრედიტაციის სტანდარტები და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო: ეს უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების მკაფიო სტრუქტურას და სამიზნე ნიშნულებს. PDCA ციკლი (Plan-Do-Check-Act): უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გაუმჯობესების გზით.

აწსუ-ს პოლიტიკა ხაზს უსვამს ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივ მონაწილეობას, რაც გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და ხარისხისთვის, მათ შორის ფაკულტეტის საბჭოების, უნივერსიტეტის დეპარტამენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტებისა და გარე პარტნიორების ჩართულობას. აკრედიტაციისა და თვითშეფასების ჯგუფებში ასევე შედის ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

აწსუ იყენებს შეფასების მკაცრ პროცესს, რათა უზრუნველყოს თავისი პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება სტატისტიკური ინდიკატორების მეშვეობით, ეს მოიცავს სტუდენტების ჩარიცხვის რაოდენობას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს და ა.შ. აწსუ ასევე იყენებს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებიდან მიღებულ უკუკავშირს, აკადემიური საქმიანობის შესრულების ანალიზსსა და კოლეგიალურ დაკვირვებებს. დამატებითი სასარგებლო ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს უსდ არის SWOT ანალიზი თითოეული პროგრამისთვის. პროგრამების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება ითვალისწინებს სტუდეტების კანონიერ ინტერესებს და აძლევს მათ შესაძლებლობას, შეუფერხებლად დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა.

აწსუ-ს პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების შესახებ არის მყარი და ყოვლისმომცველი. ის ეფექტურად აერთიანებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, უწყვეტ შეფასებას, შრომის ბაზარს და გაუმჯობესების მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს მისი პროგრამების ხარისხი და აქტუალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- აქსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- აკადემიური საბჭოს No5 (23/24) დადგენილება 14.09.2023 „2023-2024 სასწავლო წლისათვის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
- აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება No69 (22/23), 9.06.2023 - აკადემიური პერსონალის, ემერიტუსების, პედაგოგების, ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საათობრივი ბაზის დამტკიცების შესახებ;
- ასსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება No87(23/24), 28.02.2024 – „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის

შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აწსუ იცავს საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS) პროგრამის შემუშავებისას. მათი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ასახავს კონკრეტულ პროცედურებსა და ინსტრუქციებს. საბაკალავრო პროგრამებზე საჭიროა მინიმუმ 240 კრედიტი (ერთი კრედიტი = 25 საათი). სამაგისტრო პროგრამები მოითხოვს 120 კრედიტს (ნაშრომი: 25-30 კრედიტი). სადოქტორო პროგრამები გრძელდება არანაკლებ სამი წელი, სასწავლო კომპონენტით არაუმეტეს 60 კრედიტისა. მედიცინის/სტომატოლოგის პროგრამები საჭიროებს 360/300 კრედიტს.. მასწავლებელთა მომზადების და ქართული ენის პროგრამები ერთწლიანია (60 კრედიტი). არსებობს ორი ძირითადი სტრუქტურა სტრუქტურა 1: კურსები (მინიმუმ 120 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო სფეროსთან. სტრუქტურა 2: კურსები (მინიმუმ 120 კრედიტი), დამატებითი სპეციალობის პროგრამები (30-60 კრედიტი) და სწავლის სფეროსთან დაკავშირებული თავისუფალი კომპონენტები. აწსუ სტუდენტებს სთავაზობს 34 საბაკალავრო პროგრამას, ორივე ზემოაღნიშნული სტრუქტურით. გარდა ამისა, ათი საბაკალავრო პროგრამა მიჰყვება ექსკლუზიურად პირველ სტრუქტურას. აწსუ ნათლად ასახავს პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; უზრუნველყოფს რომ ამ მოთხოვნების მოძიება შეძლოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. სამედიცინო პროგრამებზე არის უფრო მკაცრი მისაღები გამოცდები, საჭირო უნარების მქონე სტუდენტების შესარჩევად. ინგლისურენოვანი

პროგრამები ითვალისწინებს განახლებულ ინდუსტრიულ სტანდარტებს, ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებლად. ინგლისურენოვან პროგრამაზე მოსახვედრად, საკმარისია ინგლისური ენის B1 ან B2 დონეზე ცოდნა, თუმცა სტუდენტებს და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა, რომ ენობრივი კომპეტენცია კიდევ უფრო გაუმჯობესონ. პროგრამის მიზნები დაკავშირებულია უნივერსიტეტის მისიასთან, ფაკულტეტის ექსპერტიზასთან და კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოებთან. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სტუდენტები ავლენენ იმ კონკრეტულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მითითებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. მკაფიო კავშირია პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და ინდივიდუალურ კურსებს შორის. სასწავლო გეგმის რუკა განსაზღვრავს კურსებს, რომლებიც ავითარებენ სწავლის კონკრეტულ შედეგებს სამ პროგრესულ დონეზე: შესავალი, პრაქტიკა და ოსტატობა.

თითოეული პროგრამა იყენებს კურიკულუმის რუკას, რათა შეიმუშაოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სამიზნე ნიშნულებით. შედეგები უნდა ემთხვეოდეს პროგრამის დონეს, პირდაპირ კავშირში იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და საგანმანათლებლო დონესთან, განსაზღვროს ცოდნა, უნარები, ავტონომია და პასუხისმგებლობა, რომელსაც სტუდენტები მიიღებენ პროგრამის დასრულების შემდეგ და ითვალისწინებდეს ინდუსტრიის სპეციფიკურ სტანდარტებს, რათა კურსდამთავრებულები მზად იყვნენ მუშაობისთვის. მთლიანობაში, დოკუმენტაცია, როგორც ჩანს, ასახავს პროგრამებსა და სილაბუსებში შესაბამისობის მიდგომას, რომელიც მუშაობს პრაქტიკაში. გამოკითხული აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია სასწავლო გეგმის შემუშავებისა და პროგრამის თანმიმდევრულობის მიმართ დაწესებულების მიდგომის შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია მტკიცებულება, რომ აწსუ-ის დამსაქმებლები ეხმარებიან სტუდენტებს სასწავლო გეგმის მიზნების, შედეგების, აკადემიური მოსწრების ამოცანების, სწავლების მეთოდების, მასალების და სწავლის გაუმჯობესების განახლებული სტრატეგიების მიღწევაში. აწსუ საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან პერსონალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ თითოეული სტუდენტის საჭიროებებს, ინტერესებს და აკადემიურ მზადყოფნას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა თავიანთი გეგმებით. გეგმები შეიძლება შემუშავდეს სრული პროგრამებისთვის ან კონკრეტული კურსებისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სათანადოდ მოირგონ თავიანთი დატვირთვა.

აწსუ იყენებს სწავლების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია თითოეული პროგრამის უნიკალური სფეროსთვის. მაგალითად, მედიცინის პროგრამები იყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შებრუნებულ საკლასო ოთახებს, შემთხვევის შესწავლას, სიმულაციური ტრენინგს და კლინიკურ როტაციას, რათა მოამზადოს სტუდენტები რეალური სცენარებისთვის. საინჟინრო პროგრამები ხაზს უსვამს პრაქტიკულ სწავლებას ლაბორატორიების, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და ინდუსტრიის სიმულაციების საშუალებით. აგრარული პროგრამები აერთიანებს საველე სამუშაოს და პრაქტიკულ აქტივობებს. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აწსუ გონივრულ ძალისხმევას იჩენს, რომ დაუკავშირდეს როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მკაფიოდ გაცხადებას და მათ შესაბამისობას უმაღლეს

განათლების დონესა და კვალიფიკაციასთან. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, აწსუ ითვალისწინებს სტუდენტთა სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიურ მზაობას, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ATSU-ს საგანმანათლებლო პროგრამები შექმნილია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან (ESG 2015) შესაბამისობით, მათ შორის, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობისა და ECTS გაიდლაინების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან შესაბამისობით (EP-QA), რომელიც მოიცავს შესაბამის პროცედურებს და ინსტრუქციებს, მათ შორის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის აგების ინსტრუქციას, რომელიც წარმართავს პროგრამების შემუშავებას ECTS კრედიტების გამოყენებით.

სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და უნივერსიტეტის მისიასთან, ასევე შეესაბამება ჩარჩოს კომპეტენციების აღმწერებს; ხდება მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის გზით.

აწსუ-ს პოლიტიკა და პრაქტიკა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და მიღწევისთვის არის ძლიერი და შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს. უნივერსიტეტის ერთგულება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამებისადმი უზრუნველყოფს სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებებისა და აკადემიური მზაობის დაკმაყოფილებას, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურ და ეფექტურ სასწავლო გარემოს. აწსუ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზანს. კატალოგის განახლება ხდება შესაბამის პროგრამაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით. ის ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა, აწსუ ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო პიკნიკს და ღია კარის დღეს. აწსუ-მ ჩაატარა კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერასთან დაკავშირებით, მათ შორის გამოიკვლია კურსდამთავრებულების დასაქმების დონე 2020-2023 წლებში. გამოიკითხა 2415 სტუდენტი; დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა 34.7 პროცენტი დასაქმებულია მინიჭებული კვალიფიკაციით.

უწყვეტი შეფასებითა და ეროვნული და საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით, აწსუ ინარჩუნებს მაღალ სტანდარტებს თავისი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, უზრუნველყოფს რა, რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიო, აქტუალური და მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- EP-QA 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
- დიპლომის დანართის ნიმუში, ფორმა;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება No30(17/18), 5.12.2017წ.) უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;

• აწსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები.
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 3.2.1. სასურველია უფრო მეტი გარე დაინტერესებული მხარის შეხედულებების გათვალისწინება პროგრამების შემუშავებისას და ხაზი გაესვას სასწავლო პროგრამებში მეტი პრაქტიკული ელემენტების საჭიროებას . 3.2.2. სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის მეტი არჩევითი საგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აწსუ იყენებს ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაზე (ECTS) დაფუძნებულ კრედიტების სისტემას შეფასებებისათვის. კრედიტის მოსაპოვებლად, სტუდენტებმა უნდა აჩვენონ, რომ მიაღწიეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. აწსუ იყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდებს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. ეს მეთოდები მოიცავს სალექციო აქტივობებს (სემინარებში, დისკუსიებსა და ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა, წერილობითი სამუშაო ესეები, დავალებები, პრეზენტაციები, შემთხვევის შესწავლა, სიმულაციები, OSCE (ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) (12 სადგური) და სხვა პრაქტიკული შეფასებები. აწსუ ხაზს უსვამს სტუდენტების შეფასების სისტემაში გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის კურიკულუმი, სილაბუსი და უნივერსიტეტის ვებგვერდი ხაზს უსვამენ შეფასების სისტემას. ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელები და მასწავლებლები რეგულარულად ახდენენ სტუდენტების ინფორმირებას მეთოდებისა და რეგულაციების შესახებ. არსებობს აწსუ-ში სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დამოკიდებული იქნება კონკრეტულ პროგრამაზე და დეტალურად იქნება გათვალისწინებული პროგრამის სილაბუსში. „აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება

No81 (23/24) - აწსუ-ში დოქტორანტურის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (დათარიღებული 2024 წლის 14 თებერვლით.) შეიცავს სადოქტორო დისერტაციის შეფასების გაიდლაინებს და ახდენს დისერტაციის კატეგორიზებას როგორც: ფრიადი, ძალიან კარგი, დამაკმაყოფილებელი, საჭიროებს გაუმჯობესებას, არადამაკმაყოფილებელი და სრულიად არადამაკმაყოფილებელი. დოქტორანტებს, რომელთაც მიიღეს შეფასება "არადამაკმაყოფილებელი", საშუალება აქვთ წარადგინონ განახლებული ნაშრომი ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, შეფასებაზე "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" იკრძალება იმავე დისერტაციის ხელახლა წარდგენა. ვიზიტის დროს, ზოგიერთი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი იყო ხელმისაწვდომი, ყველა მათგანი კარგი მახასიათებლებით. უნივერსიტეტს ასევე აქვს მკაცრი პოლიტიკა პლაგიატისა და არაკეთილსინდისიერების წინააღმდეგ.

ინსტრუქტორები ღიად აფასებენ სტუდენტების პროგრესს კურსის განმავლობაში. აწსუ ნებას რთავს სტუდენტებს რომ გააპროტესტონ ფინალური გამოცდის ქულები თუკი ისინი ფიქრობენ რომ ქულები არაზუსტია. ოფიციალური შედეგებიდან ერთი კვირის განმავლობაში, სტუდენტებს შეუძლიათ დაწერონ საჩივარი რექტორის მოადგილისა და ფაკულტეტის დეკანის სახელზე. საჩივარი ნათლად უნდა ასახავდეს რატომ არის ხელახლა შეფასება მოთხოვნილი. ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის რჩევით, შექმნის საჩივრის განხილვის კომიტეტს ორი სამუშაო დღის განმავლობაში. კომიტეტი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ფორმალური პროტოკოლით. თუ აპელაცია წარმატებულია, რექტორის მოადგილე დაამტკიცებს განახლებულ ქულას და ქულა აისახება ელექტრონულად. ეს ოპტიმიზირებული პროცესი უზრუნველყოფს სამართლიან შესაძლებლობას, რომ განხილული იყოს ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება ფინალური გამოცდის ქულებს. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების მსვლელობაში დადგინდა, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ გასაჩივრების პოლიტიკას.

სასწავლო კურსების სისტემური შეფასება უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლებისა და შეფასების სისტემის ეფექტიანობისა და სამართლიანობის შესახებ სტუდენტთა უკუკავშირს. ვიზიტისას დადასტურდა, რომ ეს პროცესი არსებობს და სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების ავტორიზაციის სტანდარტები ფართოა და შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ საგანმანათლებლო ჩარჩოებს. ეს სტანდარტები მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ შეფასების სისტემა იყოს კანონის შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მუდმივ გაუმჯობესებას. უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კონკრეტულ ბრძანებებს, რაც უზრუნველყოფს ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას. შიდა რეგულაციები, როგორიცაა აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება, უზრუნველყოფს დამატებით სტრუქტურას და უზრუნველყოფს შეფასების სტანდარტების მორგებას უნივერსიტეტის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა კომპონენტებზე: 1. შუალედური შეფასებები. 60 ქულა (სტუდენტის აქტივობისა და შუალედური გამოცდების ჩათვლით); 2. საბოლოო გამოცდა 40 ქულა. დასკვნითი გამოცდაზე დაშვებისათვის, სტუდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ მინიმალური კომპეტენციის დონე შუალედურ შეფასებებში. ეს სისტემა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს აქვთ ფუნდამენტური გაგება საბოლოო შეფასებამდე.

აწსუ უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას შეფასებებში, რამდენიმე კომპონენტის საშუალებით: 1. შეფასების დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც ასახულია კურსის სილაბუსში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ მრავალი არხით, მათ შორის უნივერსიტეტის ვებგვერდითა და ფაკულტეტის პირდაპირი კომუნიკაციით; 2. შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა წერილობითი დავალებები, პრეზენტაციები, შემთხვევის შესწავლა და პრაქტიკული გამოკვლევები (მაგ., OSCE კლინიკური უნარებისთვის). ეს მრავალფეროვნება ითვალისწინებს სწავლის სხვადასხვა სტილს და უზრუნველყოფს სტუდენტის შესაძლებლობების ჰოლისტურ შეფასებას; 3. უნივერსიტეტის მიერ შექმნილი აპელაციის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაასაჩივრონ თავიანთი შეფასებები, თუ თვლიან, რომ ადგილი ჰქონდა შეცდომას ან უსამართლო შეფასებას.

აწსუ იყენებს ელექტრონულ სისტემას (e-dean) სასწავლო პროცესის მართვისათვის, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ მათ აკადემიურ პროგრესს, მიიღონ კურსის მასალები და დაუკავშირდნენ პროფესორ-მასწავლებლებს. სისტემა ავითარებს გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას

აწსუს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის ძლიერი, კანონთან შესაბამისი და შექმნილია რათა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი. ეროვნული და ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვით, შეფასების მრავალფეროვანი და დეტალური მეთოდების გამოყენებით, ტექნოლოგიების ინტეგრირებით და ეფექტური გასაჩივრების სისტემით, აწსუ უზრუნველყოფს, რომ შეფასების პრაქტიკა ხელს უწყობდეს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მუდმივ გაუმჯობესებას. ასეთი ფართო მიდგომა არა მხოლოდ ხელს უწყობს სტუდენტების მიღწევას, არამედ მხარს უჭერს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მთლიანობასა და ხარისხსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები;
- აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №6 (22/23), 16.09.2022 „აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“
- აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 15.07.2021„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების პროცედურის შესახებ“
- აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №81 (23/24), 14.02.2024„აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“
- აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №10 (17/18), 10.11.2017„აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), სამაგისტრო და minor საგანმანათლებლო პროგრამების საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად და ცენტრალიზებულად ჩატარების პროცედურის დამტკიცებისა და გამოცდების გასაჩივრების წესების დამტკიცების შესახებ“
- აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №7 (22/23), 16.09.2022„მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტების შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

• აწსუს აკადემიური საბჭოს დადგენილება №16 (21/22), 9.12.2021„ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შეფასების სისტემაში ცვლილებების შესახებ“ • უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 3.3.1. სასურველია შეფასების მთლიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მორგებულია თითოეული აკადემიური პროგრამისა და კურსის კონკრეტულ საჭიროებებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 3.3.1. OSCE სადგურები იდეალურად იყო დაგეგმილი და ყველა სტუდენტი და გამომცდელი კარგად იყო გადამზადებული OSCE-ს შესახებ. კარგად განვითარებული ცენტრალური ჩაწერის სისტემა ფუნქციონირებდა OSCE -ს თითოეული სადგურის ჩასაწერად და სტუდენტებისთვის უკუკავშირის მისაცემად ჩანაწერების საფუძველზე.
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს პერსონალის რეკრუტირებას, შერჩევას, შეფასებას და განვითარებას და უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აყვანის გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ პროცედურებს. იგი მოიცავს აკადემიური პერსონალის აფილირებას, სამუშაო დატვირთვის დამტკიცებისა და სამუშაოს შესრულების მონიტორინგის

რეგულაციებს, ასევე სამუშაოს მონიტორინგისა და უკუკავშირის წესებს გაუმჯობესებისთვის. ეს პროცესები რეგულირდება პერსონალის მართვის დოკუმენტით, სახელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია 2018 წელს. ეს დოკუმენტი შექმნილია იმისათვის, რომ იყოს მოქნილი და ექვემდებარება განახლებებს საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად. იგი მოიცავს პერსონალის მოზიდვას, შერჩევას, დაქირავებას, ადაპტაციას, ორიენტაციას, გამოსაცდელ პერიოდს, სამუშაოს აღწერილობას, პროფესიული განვითარების მექანიზმებსა და პერსონალის შეფასებას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით წინსვლის გათვალისწინებით, ეს თემები შეიძლება პერიოდულ განახლებას საჭიროებდეს. შესაძლებელი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პერიოდული განახლების შემოთავაზება.

უნივერსიტეტს აქვს კადრებისა და აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურები (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 4.02.2024 დამტკიცებული ბრძანება #78 (23/24) „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის საშუალებით შერჩევის კრიტერიუმები). არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დაქირავების გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურები, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვასა და აყვანას; ეს პროცესი ხუთ სტადიას მოიცავს: მომზადება, მიზიდვა, შერჩევა, დაქირავება და ორიენტირება.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა დაქირავების პროცედურები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, მათ შორის დოკუმენტირება, გასაუბრება და ტესტზე დაფუძნებული გამოცდები. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მოითხოვს ტესტებზე დაფუძნებულ გამოცდებს კონკრეტული სამუშაო მოთხოვნების გამო, ხოლო დეკანები აქტიურად მონაწილეობენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკრუტირებაში. კადრების საჭიროებებს ფაკულტეტები ადგენენ და მოლაპარაკებებს აწარმოებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. დეკანებმა გამოთქვეს მეტი ახალგაზრდა მეცნიერის მოზიდვის სურვილი და ახლახან გამოაცხადეს ასისტენტ-პროფესორების ვაკანსიები. პროგრამის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა გაიხსენა გამოწვევები დოქტორანტების მოწვეულ ლექტორებად აყვანასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამოცდილი აფილირებული პერსონალი მრავალი წლის განმავლობაში იკავებს პოზიციებს, რაც გარკვეულწილად ზღუდავს შესაძლებლობებს ახალგაზრდა მეცნიერებისთვის. მათ ხაზი გაუსვეს მათ პროგრამებში მეტი ახალგაზრდა პერსონალის საჭიროებას (სამედიცინო პროგრამებს ჰყავთ ახალგაზრდა მოწვეული ლექტორები). უნივერსიტეტისათვის რეკომენდებულია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე პროგრამებში მეტი ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად. უნივერსიტეტისათვის რეკომენდებულია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე პროგრამებში მეტი ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.

უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკა, რომელიც ასახულია აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებაში #133 (22.11.2017). აწსუს 474 აკადემიური პერსონალიდან, 458 აფილირებულია. აფილირება ნებაყოფლობითია და შეიცავს რამდენიმე სარგებელს, მათ შორის არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობას, პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის ფინანსურ მხარდაჭერას, პრემიებს და სახელფასო დანამატებს. მხოლოდ აფილირებულ პერსონალს შეიძლება მიენიჭოს ემერიტუსის სტატუსი და მიიღოს კვლევის დაფინანსება. მათ ასევე

შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი დატვირთვა ისე, რომ პრიორიტეტული იყოს კვლევა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. ინტერვიუებმა აკადემიური პერსონალის შერეული მოსაზრებები გამოაჩინა. პროგრამის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა აფილირების მნიშვნელობასა და პრესტიჟს, ფინანსურ სარგებელთან შედარებით და მაგალითებად მოიყვანა დაფინანსებული სტატიები და კონფერენციები. თუმცა, ინტერვიუების დროს აფილირების პოლიტიკა გააკრიტიკა ერთ-ერთმა ლექტორმა, დაფინანსებისა და შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო. მოწვეულმა პერსონალმა აღიარა, რომ გააჩნდათ ცნობიერება ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ არ გამოუყენებიათ. აკადემიური პერსონალის უკუკავშირიდან გამომდინარე, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს აფილირების პოლიტიკის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

უნივერსიტეტი ხაზს უსვამს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე კონცეტრირებას, სხვადასხვა სერვისების საშუალებით. აწსუ-ში პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს საუნივერსიტეტო სერვისები და საერთაშორისო პროექტები, რომლებიც მოიცავს მობილობას, ტრენინგებს, სემინარებს, ვორქშოფებს და კერძო და საჯარო ინიციატივებს. ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ პერსონალის საჭიროებები განისაზღვრება კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრისა და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კითხვარების საფუძველზე. უწყვეტი განათლების ცენტრი მუშაობს ფაკულტეტებთან ამ საჭიროებების განსაზღვრის მიზნით და ტარდება შესაბამისი ტრენინგები პერსონალისთვის. პროფესიული გადამზადების ზოგიერთი ტრენინგი იყო დასახელებული: PBL, OSCE, შეფასებისა და სწავლების მეთოდები და ა.შ. მედიცინის ფაკულტეტის ზოგიერთმა აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ გაიარეს ინგლისური ენის გაუმჯობესების გაკვეთილები ენის ცენტრიდან. ისინი ინფორმაციას იღებენ ვებგვერდიდან, ფოსტითა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური, რათა ასწავლონ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე. თუმცა, არსებობს საჭიროება, რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.

კოლეგიალური დაკვირვება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის გამორჩეული საუკეთესო პრაქტიკა და დანახულია მისი მნიშვნელობა სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ფაკულტეტის წევრებს შორის თანამშრომლობითი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ დაკვირვების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი და მას პროდუქტიულად მიიჩნევენ.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება სამსახურების მიერ დანერგილი წლიური ანგარიშგების სისტემას. თითოეული სტრუქტურული ერთეული წელიწადში ერთხელ აჯამებს თავისი მუშაობის შედეგებს და ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის მართვის შესაბამის ორგანოს. ამ პროცესის ფარგლებში ხდება თანამშრომლების მიერ შესრულებული აქტივობების რაოდენობრივი და არაფორმალური ხარისხობრივი შეფასება“ (გვ.57). ინტერვიუს შედეგებმა გამოავლინა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებს ევალებათ თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშგება, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ტარდება რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მენეჯერთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმი ახალია და ამ დრომდე არ ჩატარებულა არცერთი კვლევა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დამტკიცებული დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ შეიცავს ქვეთავს 1.7 „პერსონალის შეფასება“, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოკლევადიანი სამუშაო ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრაზე, შეფასების

შესაბამის კრიტერიუმებზე, პერსონალის შეფასების შედეგების განხილვასა და განვითარების გეგმის შემუშავებაზე. ანალიზებისა და კვლევების არარსებობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალურ დონეზე შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 1450-ს. მათ შორის, 474 აკადემიური პერსონალია, და 82 მათგანი არის პროფესორი, 332 ასოცირებული პროფესორი, 60 ასისტენტ პროფესორი და არც-ერთი ასისტენტი. ინსტიტუციას არ ჰყავს სამეცნიერო პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 458, მათ შორის 80 აფილირებული პროფესორია, 324 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 54 აფილირებული ასისტენტ პროფესორი. გარდა ამისა, სწავლებაში ჩართულია 414 მოწვეული თანამშრომელი, არის 21 ადმინისტრაციული თანამშრომელი და 541 დამხმარე პერსონალი, რომელთაგანაც 245 მუდმივი თანამშრომელია, ხოლო 296 კონტრაქტორი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან არის 1:1,2; თანაფარდობა აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და სტუდენტებს შორის არის 1:10.1; თანაფარდობა ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არის 1:428. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები 2029 წლისათვის. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, რომელიც ეფუძნება შეჯიბრებით პრინციპს. დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას კონკურსანტების შერჩევისათვის საჭირო დოკუმენტების, კვალიფიკაციისა და კრიტერიუმების შესახებ და ა.შ. წარმოდგენილი საკადრო დოკუმენტაცია აჩვენებს მაღალ ხარისხსა და შესაბამისობას სტანდარტებთან. უნივერსიტეტს აქვს ყველა ფუნქცია და სამუშაო აღწერილობა, რომელიც განკუთვნილია ყველა სტრუქტურული ერთეულისა და ფაკულტეტისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, 2018 აკადემიური პერსონალის კონკურსით შერჩევის კრიტერიუმები სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის დაქირავების პროცედურა. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ემერიტუსის აკადემიური სტატუსის მინიჭების წესები და პირობები. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი; აფილირების პოლიტიკა აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

4.1.1. ანალიზებისა და კვლევების არარსებობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალურ დონეზე შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა.

4.1.2. უნივერსიტეტისათვის რეკომენდებულია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე პროგრამებში მეტი ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.

4.1.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური, რათა ასწავლონ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე. თუმცა, არსებობს საჭიროება, რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.

რჩევები:

4.1.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიმდინარე წინსვლის გათვალისწინებით, შესაძლებელია 2018 წელს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პერიოდული განახლება.

4.1.2. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს აფილირების პოლიტიკის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

4.1.1. კოლეგიალური დაკვირვება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის გამორჩეული საუკეთესო პრაქტიკა და დანახულია მისი მნიშვნელობა სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ფაკულტეტის წევრებს შორის თანამშრომლობითი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში.

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-ს გააჩნია აკადემიური პერსონალის განახლებადი სემესტრული სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სწავლას, კვლევასა და სხვა მოვალეობებს, მათი როლებისა და ფუნქციების მიხედვით. აკადემიური პერსონალის, ემერიტუს-პროფესორების, კონტრაქტორი სპეციალისტებისა და საათობრივად მიწვეული მასწავლებლების წლიური დატვირთვის ნორმები განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ, შემდეგნაირად: აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 1500 საათს, მათ შორის 500 საათს სწავლების საკონტაქტო სამუშაოზე და 1000 საათს სწავლების-მეთოდურ სამუშაოზე; კონტრაქტორ

სპეციალისტებს აქვთ წლიური დატვირთვა 1000 საათი, სადაც 500 საათი განკუთვნილია საგანმანათლებლო სამუშაოზე და 500 საათი მეცნიერული და მეთოდური სამუშაოზე; ემერიტუს-პროფესორებს აქვთ წლიური დატვირთვა 630 საათი, მათ შორის 30 საათი სწავლების საკონტაქტო სამუშაოზე და 600 საათი მეცნიერულ-მეთოდურ სამუშაოზე; მასწავლებლებს აქვთ 600 საათის წლიური სასწავლო დატვირთვა, მათ შორის 420 საკონტაქტო საათი. აკადემიური პროგრამებისთვის საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სწავლება-მეთოდიკის დატვირთვა, შეადგენს 30-700 საათს. დიფერენცირებული მიდგომაა შექმნილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საშემსრულებლო ხელოვნება (კლავიშებიანი/სიმებიანები/ჩასაბერი ინსტრუმენტები/ვოკალი/გუნდის დირიჟორობა)“, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

აკადემიური პერსონალი მთელი აკადემიური წლის განმავლობაში აორგანიზებს საგანმანათლებლო და მეთოდურ საქმიანობას, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ამტკიცებს სამუშაო დატვირთვის ნორმების განსაზღვრის, დამტკიცების, ჩაწერისა და შესრულების შემოწმების წესებს.

თვითშეფასების თანახმად, „აწსუ ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მათ აკადემიური ან სამეცნიერო პოზიცია უკავიათ“ (გვ. 66), თუმცა დოკუმენტების განხილვამ და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგისათვის არ არსებობს მკაფიო მექანიზმები. საქართველოს განათლების მინისტრის 2018 წლის ბრძანების მიხედვით (უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების პროცედურისა და პირობების დამტკიცების შესახებ), უნივერსიტეტებს მოეთხოვებათ, შექმნან უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რათა მოახდინონ უნივერსიტეტის პერსონალის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია (მუხლი 6. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირთა შესახებ, წარმოსადგენი ინფორმაცია). რეკომენდებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და შიდა მონიტორინგის მექანიზმების გამოყენება, რათა განხორციელდეს უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას თითოეულ პროგრამაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან არის 888/1028, 7:1. აფილირებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობასთან არის 458/888, 1:1,9. აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან არის 458/9001, 19,7; ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა რაოდენობის თანაფარდობაა 180/439, 1:2,4; ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობაა 54/84, 1:1,6. თითოეულ ზემოაღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, უნივერსიტეტმა 2029 წლისათვის დაადგინა სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტი ინარჩუნებს დეტალურ და ნათელ საკონტრაქტო ურთიერთობებს თავის აფილირებულ პერსონალთან.

უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის პოლიტიკა. გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორები: ა) სტუდენტების ჩარიცხვის ანალიზი ბოლო ხუთ წელიწადში; ბ) ბაზრის კვლევა; გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების

მაჩვენებელი; დ) ადამიანური და მატერიალური რესურსები; და ე) უნივერსიტეტის პერსპექტივები და ტენდენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში; აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია აწსუს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #133 22.11.2017 სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ ხელშეკრულებების ნიმუშები; სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 4.2.1. რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და შიდა მონიტორინგის მექანიზმების გამოყენება, რათა განხორციელდეს უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი.
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის ბაკალავრიატის, მაგისტრის, დოქტორანტურის, ერთსაფეხურიან, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიულს. თითოეული საფეხურისათვის დაწესებულებამ შეიმუშავა და დანერგა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში კი, ამ პროგრამის სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების მექანიზმები. ეს პროცესი დარეგულირებულია აწსუს აკადემიური საბჭოს რეზოლუციით #87(23/24), 28.02.2024; ეს წესი და პროცედურა გამჭვირვალეა, სამართლიანი და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. წესის უახლეს ვარიანტი მოიცავს მუხლს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 224/ნ ბრძანებიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, თუ პირს აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში არ მიუღია შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის ერთ კომპონენტში მაინც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუებმა აჩვენა უსდ-ს ადმინისტრაციის ცნობიერება რეგულაციის შესახებ, რომ იგი ადეკვატურად არის დაცული და საერთაშორისო სტუდენტებმა მიიღეს სათანადო კონსულტაციები ახალი წესის შესახებ. ამავე წესის 26.1. მუხლი აღარ არის მოქმედი.

სტუდენტის სტატუსის, მობილობისა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. იმის გათვალისწინებით, რომ აწსუს ვებ-გვერდს აკლია დოკუმენტები, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას.

უსდ-სა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის, დეკანებისა და სხვა ადმინისტრაციული წარმომადგენლების საკონსულტაციო შეხვედრები მიზნად ისახავს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მაგრამ სტუდენტებთან ინტერვიუს შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია შემდგომი ნაბიჯების განხორციელება, რათა ყველა სტუდენტმა მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია სამართლებრივი საკითხების შესახებ. სტუდენტი ექსპერტი ასევე ურჩევს სტუდენტთა უფლებების შესახებ თავის დამატებას ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ხელშეკრულების ფორმაში.

სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასების უფლების დასაცავად, უსდ-მ შეიმუშავა და დანერგა აპელაციის რეგულაცია „საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად და ცენტრალიზებულად წარმართვის წესისა და გამოცდის გასაჩივრების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; დეკანებთან და სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მექანიზმი პრაქტიკაში აქტიურად არის დანერგილი. სტუდენტებს შეუძლიათ შეავსონ გასაჩივრების ფორმა ადმინისტრაციაში ან გაგზავნონ ის თვითმომსახურების ტერმინალებით, მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის ხელმისაწვდომი ყველა საერთაშორისო სტუდენტისთვის, რადგან მათი სტუდენტური ბარათები არ არის გააქტიურებული. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში განმარტეს, რომ სტუდენტების სიმრავლის გამო ამ პრობლემას ეტაპობრივად აგვარებენ.

სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები განმარტებულია აწსუს დებულებასა და ეთიკის კოდექსში. მათი დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს ექნება გარკვეული დისციპლინური პასუხისმგებლობები. ის ხორციელდება ფაკულტეტის კომიტეტის მიერ. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო სტუდენტებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ეთიკის კოდექსის, პლაგიატის, Turnitin პლატფორმისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ. ამის გამო უნდა გაიზარდოს სტუდენტების ცნობიერება ამ ასპექტთან დაკავშირებით და დამატებით ვებ-გვერდზე უნდა აიტვირთოს დოკუმენტის ინგლისურენოვანი ვერსია. ეთიკის კომისიასთან ერთად, ომბუდსმენის აპარატი, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2018 წლიდან და წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ომბუდსმენის სერვისი ნამდვილად გამოსადეგია და ზოგიერთმა მათგანმა უკვე ისარგებლა ამ შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. • აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება No87(23/24), 28.02.2024 წლის „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის შემდგომი განათლების მიწოდების მექანიზმები“; • აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1 სექტემბრის No1 (23/24) დადგენილება „შესაბამის საფეხურზე განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის, კრედიტების (სხვადასხვა ან/და მისაღები) გამომუშავებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულების წესების დამტკიცების შესახებ.“; • აწსუსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში. • აწსუს დადგენილება No30(17/18), 5.12.2017წ. „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურის შესახებ“; • სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი • ვიზიტი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: 5.1.1.რეკომენდებულია აწსუს ვებ-გვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება (სტუდენტის სტატუსის შესახებ წესი, გრანტების მიღება, საფასურის გადახდა და ა.შ.) როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. 5.1.2.რეკომენდებულია ყველა საერთაშორისო სტუდენტისათვის ელექტრონულ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა 5.1.3.რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების, განსაკუთრებით კი უცხოელი სტუდენტების ინფორმირებულობა ეთიკის კოდექსის შესახებ და ხელმისაწვდომი გახდეს (კოდექსი) ქართულ და ინგლისურ ენებზე აწსუს ვებგვერდზე. 5.1.4.რეკომენდირებულია დარედაქტირდეს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში,

შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის შემდგომი განათლების მიწოდების მექანიზმები“ და ამოღებულ იქნეს ვადაგასული მუხლები.
რჩევები: 5.1.1. მიზანშეწონილია სტუდენტების უფლებების, მოვალეობებისა და სხვა სამართლებრივი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების გაძლიერება. 5.1.2. . სასურველია სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ყველა ხელშეკრულების ფორმაში დაემატოს „სტუდენტების უფლებები“ -ს თავი.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აწსუ ცდილობს დანერგოს და გააუმჯობესოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რაც თავისთავად არის საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელების გარანტი. უსდ იზიარებს და ახორციელებს კარგ პრაქტიკას სხვა ინსტიტუციებიდან და წყაროებიდან, მაგალითად, ომბუდსმენისა და ფსიქოთერაპევტის სერვისებს. როგორც თვითშეფასების ანგარიშშიც იყო განხილული და ასევე ინტერვიუების დროსაც, ყოველწლიურად პირველკურსელ სტუდენტებს ხვდება უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და საინფორმაციო შეხვედრები ტარდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის, დეპარტამენტისა და პროგრამის ხელმძღვანელების, სტუდენტების მხარდაჭერისა და განვითარების ოფისის, ბიბლიოთეკის, მარკეტინგი, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურისა და საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახურების ორგანიზებით. სტუდენტები დამატებით ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და სხვა აქტივობების შესახებ ძირითადად

კორპორატიული ელექტრონული ფოსტით იღებენ. ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ რეგულარულად იღებენ კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისგან. კონსულტაციის საათები აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებებშია განსაზღვრული და ამ შესაძლებლობას სტუდენტები მუდმივად იყენებენ. სტუდენტებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და ლექტორებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია საზაფხულო და ზამთრის სკოლები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა მექანიზმები და მათ შეეძლოთ ასეთი მაგალითები მიეწოდებინათ ექსპერტებისათვის.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური ახორციელებს აქტივობებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშესაწყობად, მათ შორის ახდენს დასაქმების ფორუმების, ვებინარების, საინფორმაციო ღონისძიებების, ტრენინგ-კურსების ორგანიზებას და ა.შ. აწუს-ს ჰყავს პარტნიორ ორგანიზაციათა და პოტენციურ დამსაქმებელთა ფართო ქსელი და მათთან შეხვედრამ აჩვენა, რომ თანამშრომლობა პროდუქტიულია. კლინიკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ სტრუქტურებში აწსუ-ს ბევრი სტუდენტი და კურსდამთავრებულია დასაქმებული და მათი აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შემოიტანეს 8 და 16 საათიანი ცვლები. მიუხედავად ამისა, რომ სტანდარტთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი უნდა აღინიშნოს. უსდ-მ კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნა ონლაინ ვაკანსიების პორტალი და სპეციალური განყოფილება ვებგვერდზე, მაგრამ არც პორტალი და არც ვებ-გვერდის განყოფილება დასაქმების შესახებ არ განახლებულა 2022 წლიდან; ორივე ელექტრონული სერვისი საჭიროებს შემდგომ განვითარებას. უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვაკანსიების მიწოდება ძირითადად კორპორატიული ელექტრონული ფოსტით ხდება. მედიცინის PBL და მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ მიიღონ მეტი დასაქმების შესაძლებლობა სამედიცინო სფეროსთან. უსდ-მ შექმნა კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც ეხმარება არა მხოლოდ კურსდამთავრებულებს კარიერული განვითარების გზაზე, არამედ სტუდენტებსაც, რადგან პერიოდული პირდაპირი და ონლაინ შეხვედრების საშუალებით მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია მათი უფროსი კოლეგებისგან. კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს მათთან კავშირს და განიხილავს მათ მოსაზრებას საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების შესახებ. მეორე მხრივ, უცხოელ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ისურვებდნენ უფრო აქტიური კონტაქტი ჰქონოდათ კურსდამთავრებულებთან, რათა მიეღოთ რჩევები და ადეკვატური ინფორმაცია მათი კარიერული გზის შესაძლებლობებისა და სირთულეების შესახებ.

უსდ მხარს უჭერს დამსაქმებელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში. ინტერვიუების დროს მოყვანილი იყო პროგრამებში ცვლილებების მაგალითები, რომელიც ეფუძნება პარტნიორ დამსაქმებელთა უკუკავშირსა და რეკომენდაციებს;

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პრობლემური საკითხია, რომ ბევრი კურსდამთავრებული და სტუდენტი არ მონაწილეობს გამოკითხვებში და ეს მხოლოდ აფერხებს შემდგომ განვითარებას . აწსუ-მ უნდა წაახალისოს არა მხოლოდ მეტი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში, არამედ განახორციელოს სხვადასხვა პროგრამების კურსდამთავრებულთა (მინიჭებული კვალიფიკაციით) დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ანალიზი . აწსუ-ს ჩატარებული კურსდამთავრებულთა დასაქმების

სწავლების კვლევა აჩვენებს, რომ პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 1/3, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულების 1/2, საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულების 1/2, სოფლის მეურნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების 1/5 და საზღვაო ტრანსპორტის ფაკულტეტის 1/5 დასაქმდა მინიჭებული კვალიფიკაციით. შესაბამისად, ამ მიმართულებების რიცხვი მაღალია, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა დროულად უნდა განიხილებოდეს და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები მსგავსი შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების ოფისი სთავაზობს ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს (ისევე, როგორც საერთაშორისო სტუდენტებს) სტუდენტური კონტინგენტის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერ მომსახურებას, მათ შორის ადაპტაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერას, საერთაშორისო სტუდენტებისთვის ორიენტაციის დღეებს, გაცვლით პროგრამებს ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებსა და პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა ღონისძიების შესახებ ვებ-გვერდზე, კორპორატიული ელფოსტისა და ელექტრონული პორტალის საშუალებით არის გაზიარებული. აწსუ-ს აქვს პარტნიორი უცხოური ინსტიტუციების ფართო ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს. მაგრამ ინტერვიუს დროს მედიცინის პროგრამების ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ მეტ გაცვლით პროგრამებს სამედიცინო ფაკულტეტზე, რადგან ძირითადად სხვა პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობით.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა აწყობს სხვადასხვა ექსტრაკურიკულარულ აქტივობებს, მათ შორის სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ ღონისძიებებს, წვეულებებსა და ექსკურსიებს სტუდენტების ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესის წახალისების მიზნით. დაწესებულება მასპინძლობს და მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც სტუდენტებს აძლევს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

მედიცინის პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ არსებობს სამეცნიერო/საერთაშორისო საქმიანობის დანერგვის საჭიროება, კრიტერიუმებისა და პროცედურის შემუშავებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსების სამართლიანი გადანაწილება სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ პროექტს, რომელიც არის/იყო შემუშავებული აკადემიური პერიოდის განმავლობაში, წარმოადგენს უნივერსიტეტს და რაც მთავარია მხარს უჭერს მის საერთაშორისო პოპულარიზაციას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს (SES) და ახორციელებს სხვადასხვა სახის დახმარების სერვისებს, მათ შორის სწავლის საფასურის გადახდის სქემებს, გადახდის განვადებას, ფინანსურ დახმარებას და დაფინანსებას დაბალი SES სტუდენტებისთვის, ფინანსურ მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მგზავრობის ხარჯებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათ სრულყოფილად ჩართვას სასწავლო პროცესში, დამატებით სტუდენტური თვითმმართველობა სთავაზობს სტუდენტებს ფინანსურ მხარდაჭერას სოციალური დაფინანსების აქტივობების ფარგლებში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია 4 სხვადასხვა ტიპის სტიპენდია (1 სახელმწიფო, 2 კერძო კომპანია, 1 უნივერსიტეტის სტიპენდია), მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სტიპენდიის ოდენობა (თვეში 75 ლარი)

საერთოდ არ არის სტუდენტების მოტივაციის გასაუმჯობესებელი ან სტუდენტური ცხოვრებისათვის რელევანტური. საჭიროა მისი გაზრდა. საერთაშორისო სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათ არ აქვთ სტიპენდიის შესაძლებლობა. ასე რომ, ეს პრობლემური საკითხიც დამატებით მუშაობას საჭიროებს. სტიპენდიის დანიშვნის წესი, სწავლის საფასურის გადახდის წესი და სხვა დოკუმენტაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებები; • ვიზიტი • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმების პორტალი https://job.atsu.edu.ge/ ; • აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1 სექტემბრის No1 (23/24) დადგენილება „შესაბამის საფეხურზე განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის, კრედიტების (სხვადასხვა ან/და მისაღები) გამომუშავებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულების წესების დამტკიცების შესახებ". • აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #14 (14/15), 6,04. „სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ფინანსური ვალდებულებების დასაფარად დახმარების დაწესების შესახებ რეგულაციის დამტკიცების შესახებ"; • სტიპენდიების მინიჭების წესი; • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის რეგულაციები • კურსდამთავრებულთა ქსელი https://alumni.atsu.edu.ge/ • კურსდამთავრებულთა დასაქმების გამოკითხვა;
რეკომენდაციები: 5.2.1.რეკომენდებულია სტუდენტების დასაქმების პორტალისა და ვებგვერდის შესაბამისი ინფორმაციით, ახალი ვაკანსიებით განახლება და სტუდენტებისათვის დასაქმების მეტი შესაძლებლობების მიწოდება. 5.2.2.რეკომენდებულია გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების გაზრდა მედიცინის სტუდენტებისთვის, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის. 5.2.3.რეკომენდებულია აწსუ-მ წაახალისოს არა მხოლოდ მეტი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში, არამედ განახორციელოს სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებულთა (მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით) დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ანალიზი და მიიღოს ზომები შეუსაბამობის შესამცირებლად. 5.2.4. რეკომენდებულია შემუშავდეს და განახორციელდეს გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და პროცედურა სტუდენტების/კურსდამთავრებულების სამეცნიერო საქმიანობაზე/პროექტებზე გრანტის მინიჭებისთვის. 5.2.5. რეკომენდებულია გაიზარდოს საუნივერსიტეტო სტიპენდიის თანხა სტუდენტური ცხოვრების მხარდასაჭერად და სტუდენტების მოტივაციის ხელშესაწყობად, როგორც ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის.
რჩევები:

5.2.1. სასურველია გაუმჯობესდეს კონტაქტები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთა ქსელს შორის, რათა გაიზარდოს სტუდენტების ცნობიერება აკადემიური და კარიერული განვითარების შესახებ
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტი ახორციელებს საქმიანობას კვლევისა და განვითარების სფეროში, რომლის მიზანიცაა ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინდუსტრიული და სხვა სახის ინოვაციური განვითარება. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი განხორციელების შედეგების მონიტორინგზე, ხოლო კვლევის განვითარების პოლიტიკის განხორციელებას და მისი შეფასების და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინაციას უწევს ფაკულტეტი. კვლევითი საქმიანობა განიხილება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის განვითარებას და საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის ეფექტურ ინსტრუმენტად ადამიანური, ფინანსური, მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 90-მდე სტატია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში (Clarivate Analytics და Scopus) ინდექსირებულ ჟურნალებში ააწსუსთან აფილირებული 125 ავტორის მიერ. 2018 წლიდან დღემდე 35-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კვლევის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, უნივერსიტეტის მიმდინარე კვლევითი პრიორიტეტებია რეგიონული და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება, კვლევის შედეგების სწავლება/სწავლის პროცესში საფუძვლიანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

დეცენტრალიზაციასთან ერთად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევის განვითარების სისტემურ მხარდაჭერას კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის შექმნით, ადგილობრივ დონეზე ინტერნაციონალიზაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, მიზნობრივი დაფინანსების უზრუნველყოფით, ინოვაციური ტიპის კვლევებისა და ინიციატივების მხარდაჭერით რითაც ქმნის პოზიტიურ ორგანიზაციულ კლიმატს უნივერსიტეტში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებულ 40-ზე მეტ კვლევით პროექტში, მათ შორის: 23 საერთაშორისო კვლევითი პროექტი; ეროვნული სახსრებით დაფინანსებულია 19 პროექტი.

უნივერსიტეტის მისიის, კვლევის სტრატეგიისა და პოლიტიკის შესაბამისად ცენტრი ახორციელებს პროექტებს, რომლებიც შეესაბამება რეგიონულ მოთხოვნებს. კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრმა ა(ა)იპ განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციისაგან 2021 წელს მიიღო 27 000 ლარიანი გრანტი.

პროექტში - „კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგისა და ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება რეგიონულ უნივერსიტეტებში“ - ჩაერთნენ თელავის, ახალციხის, ბათუმის, ზუგდიდის რეგიონული უნივერსიტეტები. აწსუმ პროექტზე გამოჰყო 3000 ლარიანი თანადაფინანსება. პროექტი განხორციელდა 2022 წელს. მონაწილეებს ტრენინგები ჩაუტარდათ შემდეგი მიმართულებებით (სულ 5 ტრენინგი, გადამზადდა რეგიონული უნივერსიტეტების 20-მდე წარმომადგენელი);

ამჟამად უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას აწარმოებენ შემდეგი კვლევითი ერთეულები:

- ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- აგრარული მიმართულებების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- მედიცინის ფაკულტეტის კვლევითი სტრუქტურული ერთეული;

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მომავლის ინოვაციების ლაბორატორია (FabLab ATSU), რომელიც შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

2021 წელს უნივერსიტეტმა ადმინისტრაციის მხარდაჭერით დაიწყო უნივერსიტეტის ლაბორატორიის მოწყობის ინიციატივა. შესაბამისი კომისია მუშაობდა ორი მიმართულებით: საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიის აღჭურვა და კვლევის კომერციალიზაციის უზრუნველყოფა (სტრატეგიის შემუშავება, კონკრეტული იდეების მხარდაჭერა). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სახელით დაპატენტებულია 5 გამოგონება, ყველა პატენტი ძალაშია. 2023 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, საქპატენტში, 5 განაცხადი შევიდა, აქედან სამი უკვე დარეგისტრირებულია.

თუმცა, ავტორის ინტელექტუალური საკუთრება კარგად უნდა იყოს განსაზღვრული უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებაში.

კვლევითი პროფილების შერჩეული მიმართულებებია:

- ფარმაცია;

- კლინიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება
- სატრანსპორტო პროცესები, მექანიკური ინჟინერია, კვების ტექნოლოგია, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები, გაზომვები და ხარისხის მართვა, მასალების ინჟინერია, შედუღების ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება, ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის ტექნოლოგია და ენერგეტიკული სისტემები;
- გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, ინჟინერია და უსაფრთხოება; ქიმიური, ფარმაცევტული, კოსმეტიკური და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტექნოლოგია. სურსათის მეცნიერება, ტექნოლოგია და უსაფრთხოება;
- ტანსაცმლისა და ტყავის ნაწარმის შექმნის, დიზაინის, ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის ევოლუცია; ტექსტილის დიზაინი;
- საქართველოს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევა, მოვლა-მოყვანა, დაცვა, შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიების განვითარება;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჰიდროინჟინერიის პრობლემების შესწავლა და მათი გავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეოპოლიტიკური და რეგიონული ფაქტორების შესწავლა, მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავებში გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები და მათი გამოთვლის ჰიდროდინამიკური მეთოდები, ფოთის ნავსადგურის მნიშვნელობა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის რეალიზებაში.

კვლევის შედეგების ინტეგრირება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო აქტივობებში:

- სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტი, დისერტაცია და სამაგისტრო ნაშრომი სამაგისტრო პროგრამაზე.
- პერიოდული გამოცემებსა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებზე წვდომა სტუდენტებისათვის
- კვლევითი ერთეულების პროფესორებისა და მკვლევარების ჩართვა სასწავლო პროცესში;
- დოქტორანტების ჩართვა სასწავლო პროცესში, დოქტორანტურის პროგრამის კომპონენტის -ასისტირების ფარგლებში;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევა, რომელსაც ყოველწლიურად წარადგენდნენ სტუდენტურ კონფერენციაზე;
- გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისა და პერსონალისათვის

ამჟამად, 84 აქტიური დოქტორანტია ჩარიცული უნივერსიტეტში. საანგარიშო პერიოდში სულ წარმატებით დაიცვა 50 დისერტაცია. (დაცული დისერტაციების ჩამონათვალი იხილეთ დანართში).

2023 წელს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიზანი იყო საჯარო უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების განვითარება, დოქტორანტების კვლევითი უნარების ამაღლება, მათი ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე სამეცნიერო თვალსაზრისით და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარება. პროექტის შედეგად მონაწილეებს შეუძლიათ გაიუმჯობესონ უნარები შემდეგ სფეროებში:

- სტატიის გეგმის შემუშავება
- კვლევის კითხვისა და დიზაინის ჩამოყალიბება
- აკადემიური წერა (ინგლისურად)
- მონაცემთა ვიზუალიზაცია
- ჟურნალების რეიტინგების სისტემა

- კოლეგიალური შეფასების პროცესი და მნიშვნელობა
- კვლევითი ეთიკის პრინციპები და მიდგომები;
- სირთულეები წერის პროცესში და მათი დაძლევის მეთოდები

სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დიზაინი, სტრუქტურა, წყაროები ძალიან მარალი ხარისხისაა აწსუ-ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკურ აგენტებთან და ხორციელდება და იგეგმება კვლევითი პროექტები ამ აგენტებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტმა ნათლად განსაზღვრა დოქტორანტების ხელმძღვანელების ფუნქციები. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა საშუალებას აძლევს მათ, რომ ეფექტურად უხელმძღვანელონ სადოქტორო შრომებს დისერტაციის შეფასებისა და დაცვის მაღალი სტანდარტებია უზრუნველყოფილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აწსუ-ს დებულება (დანართი 7)
- კვლევების განვითარების სტრატეგია (დანართი 37)
- დაცული სადოქტორო ნაშრომების აბსტრაქტები (დანართი 39)
- კვლევის პოლიტიკა (დანართი 11)
- ინტერვიუები დოქტორანტებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

არ ეხება

6.1.1. სასურველია ავტორის ინტელექტუალური საკუთრება კარგად იყოს განსაზღვრული უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გასული ექვსი წლის განმავლობაში აკადემიური ფაკულტეტების კვლევითი დაფინანსება გაიზარდა. ეს თანხები, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად, ფაკულტეტების არსებული საჭიროებებისა და პრეფერენციების გათვალისწინებით. გასული 6 წლის განმავლობაში, კვლევის ბიუჯეტი სრული ბიუჯეტის 30%-ს შეადგენს. უნივერსიტეტი

აფინანსებს სადოქტორო სწავლების პროცესის 30%-ს. უნივერსიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია კვლევაზე, რაც კარგი შედეგია. ლაბორატორიული ტური აჩვენებს, რომ ახალი შენობა გარემონტებულია საერთო სარგებლობის ლაბორატორიისთვის. ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა უკვე ადგილზეა მრავალი სხვა ლაბორატორია (ქიმია, გარემოსდაცვითი მეცნიერება, ბიოლოგია, ენერგეტიკა) აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

2018-2024 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში უნივერსიტეტიდან შესული განაცხადებების რაოდენობა გაიზარდა, მათ შორის ახალ მიმართულებებში. ასევე გაიზარდა უნივერსიტეტის მხრიდან ადგილობრივი გრანტების მისაღებად შესული განაცხადების რაოდენობაც. ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 2018-2024 წლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 60-მდე განაცხადი შევიდა, საიდანაც 19 დაფინანსდა, რაც წინა წლებთან შედარებით 8%-იანი გაუმჯობესებაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია საინჟინრო მიმართულებით განსაკუთრებით მზარდი მაჩვენებელი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საანგარიშო პერიოდში (განსაკუთრებით პანდემიის დროს) ორჯერ შეაჩერა კონკურსები კონკრეტულ მიმართულებებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური საბჭოს ინიციატივით, 2021 წლიდან დაიწყო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (SCOPUS, Clarivate Analytics) გამოქვეყნებული სტატიების ავტორების წახალისება. ჯილდო შეადგენს 2500 ლარს და გაიცემა Scopus-ისა და Thompson-ის მონაცემთა ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ 1 სტატიაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის შემდეგ აღნიშნულ ბაზებში უნივერსიტეტის საერთო ინდექსი გაიზარდა. 2021 წელს დაჯილდოვდა 25 ადამიანი, 2022 წელს ჯილდოზე 28 ადამიანი იყო წარდგენილი, ხოლო 2023 წელს 35 ადამიანი.

დოქტორანტებს თანხის ნაწილი (2500 ლარი) უნდა გადაეცეთ მას შემდეგ, რაც სტატია გამოქვეყნდება მაღალი იმპაქტ ფაქტორის ჟურნალში. დოქტორანტი არის (უნდა იყოს) კვლევის ერთ-ერთი მთავარი ავტორი.

2021 წელს მიღებული ინიციატივა (განხორციელება 2022 წელს) მიმართული იყო აკადემიური პერსონალის წახალისებაზე შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების კუთხით, რომლის ფარგლებშიც ფაკულტეტები აფინანსებდნენ კვლევით პროექტებს. 200 000 ლარი ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლება/შესყიდვაზე, რომელიც მთლიანად გაიზიარეს და გამოიყენეს ფაკულტეტებმა; 100 000 ლარი ფაკულტეტის შიდა კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად.

ლაბორატორიული ტურები აჩვენებს, რომ ლაბორატორიები ფლობენ საჭირო ინფრასტრუქტურას და აღჭურვილნი არიან თანამედროვე აპარატურით. საერთო სარგებლობის ლაბორატორიისთვის მომზადებულია ახალი შენობა თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

უნივერსიტეტი მუდმივად უჭერს მხარს აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტებში მონაწილეობის კუთხით. „ჰორიზონტი ევროპის“ საქართველოს ეროვნული ოფისის მხარდაჭერით, 2022 წლის 15 თებერვალს უნივერსიტეტში დაარსდა სამეცნიერო საგრანტო ოფისი, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა იმავე წლის 17 მარტს.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები აქტიურად მუშაობენ აკადემიური პერსონალის უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლებაზე. უნივერსიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით, გადაწყდა კომპლექსური მიდგომის შემუშავება უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების კუთხით. 2019-2023 წლებში ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი 49 ადამიანმა

დაასრულა და 34-მა ადამიანმა დაადასტურა ენობრივი კომპეტენცია შესაბამის დონეზე (გადაეცათ სერთიფიკატები). 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში ინგლისური ენის კურსები გაიარა 6 თანამშრომელმა (C1 - 3; A2 - 3), 2022-2023 სასწავლო წელს - 28 თანამშრომელმა (B2 - 3, B1 - 13, A2 - 8, A1 - 4).). 2023-2024 სასწავლო წელს აწსუს 29 თანამშრომელი გადის ზოგადი ინგლისური ენის კურსს.

2019 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ევროკავშირის ERASMUS+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD“ აპლიკანტი-კოორდინატორი. პროექტში ჩართული იყო საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტები და 4 ევროპელი პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიტვადან. პროექტში ასევე ჩართული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის მიერ დამუშავებული მონაცემები აჩვენებს, რომ გაიზარდა ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და პუბლიკაციების რაოდენობა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ერთობლივ კვლევებს ატარებს ისეთ დაწესებულებებთან, როგორიცაა რაფიელ დვალის სამანქანო მექანიკის ინსტიტუტი, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიოსამედიცინო ცენტრი. ესენოვის კასპიის უნივერსიტეტი, ლინეუსის უნივერსიტეტი (შვედეთი), კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), ესტონეთის სიცოცხლის მეცნიერებათა ინსტიტუტი (ესტონეთი), ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა) და სხვა.

ზოგიერთ ურთიერთგაგების მემორანდუმს ვადა გაუვიდა; შესაბამისად, საჭიროა მათი ამოღება ან განახლება.

კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად აწსუ ახორციელებს ეფექტური სისტემას. იგი ხელს უწყობს მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების ჩართვას უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. ის ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების მიერ ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკას.

აწსუ-ს აქვს კვლევის შიდა დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში;

- კვლევების განვითარების სტრატეგია (დანართი 37);
- კვლვის პოლიტიკა (დანართი 11)
- კვლევითი პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგია (დანართი 42).
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

6.2.1.სასურველია დოქტორანტებს მიეცეს დამატებითი თანხის (პრემიის) ნაწილი მას შემდეგ, რაც კვლევითი სტატია გამოქვეყნდება მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში. დოქტორანტი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ავტორია.

6.2.2.ურთიერთგაგების ზოგიერთ მემორანდუმს ვადა გაუვიდა; ამიტომ ან უნდა მოხდეს მათი ამოღება ან განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი შეუერთდა ERASMUS+ პროექტს HERD (Raising Research Capacity of Georgian HeIs through Developing R&D Units/HERD) 2018 წელს. შესაბამისად, მისი დასრულების შემდეგ მას ექნება ერთიანი პლატფორმის გამოყენებით კვლევითი საქმიანობის მონიტორინგისა და კვლევითი საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავების შესაძლებლობა .

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა მაღალ-რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებისათვის წახალისების სისტემა, რომელიც უწყვეტად ფუნქციონირებს 2021 წლიდან.

პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად და კარგი სამეცნიერო პრაქტიკის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი შეუერთდა ERASMUS + ინსტიტუციური განვითარების პროექტს „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლა და სწავლებისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY) 2017-2022“ და „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა - კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში (ETHICS)“ (2023-2027).

პროფესიული განვითარება - ამ მიზნით დაგეგმილი აქტივობები (საგრანტო განაცხადების მომზადება, ზოგადი ინფორმაცია კვლევის შესაძლებლობებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ, კვლევის იდეის ჩამოყალიბება, აკადემიური სტატიის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, მონაცემთა ბაზაში ორიენტაცია, ჟურნალის შერჩევის სპეციფიკა, პუბლიკაციასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები, ინფორმაციის მიწოდება უახლესი კვლევებისა და მეთოდოლოგიის შესახებ სფეროში, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებში, უცხო-ენის კომპეტენციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები, პარტნიორებთან კომუნიკაციის პროცესში მხარდაჭერა და ა.შ.).

აკადემიური კეთილსინდისიერება და კვლევის ეთიკის საკითხები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროდუქტიულობის შეფასებაში. უნივერსიტეტი ჩართულია ERASMUS + პროექტში „კვლევის პასუხისმგებელი წარმართვა - კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში“ (ETHICS), რომლის მიზანიცაა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის სისტემატური გაუმჯობესება პრაქტიკების დანერგვით, რომელიც ორიენტირებულია მაღალ-კვალიფიციურ კვლევასა და მოწინავე აკადემიური მიდგომებზე. უნივერსიტეტი არ არის საკმარისად მაღლა პოზიციონირებული რეიტინგების სისტემებში (ვებომეტრიკის მიხედვით საქართველოში მე-10 ადგილზეა, Times-ის რეიტინგში არ სჩანს). ხილვადობა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის Google Scholar პროფილების გამოყენებით. აწსუ რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ. შეფასების შედეგები გამოიყენება კვლევის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • RE-QA კვლევის განვიტარების პოლიტიკა (დანართი 11). • კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის რეგულაცია (დანართი 6). • კვლევების განვითარების სტრატეგია (დანართი 37); • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (დანართი 10); • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 6.3.1. უნივერსიტეტი არ არის საკმარისად მაღლა პოზიციონირებული რეიტინგების სისტემებში (ვებომეტრიკის მიხედვით საქართველოში მე-10 ადგილზეა, Times-ის რეიტინგში არ სჩანს). ხილვადობა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის Google Scholar პროფილების გამოყენებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მდიდარი მატერიალური რესურსები, აქტივების ბალანსის ღირებულება 28 165 376 ლარია, ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, საბაზრო ღირებულება შეიძლება ორჯერ მეტი იყოს. ორგანიზაციას აქვს შენობების საერთო ფართი 68994,89 სასწავლო ფართის ჩათვლით - 44832 კვ.მ. მთლიანი დამხმარე ფართი, რომელიც მდებარეობს ქუთაისსა და ფოთში.

უნივერსიტეტს აქვს ლაბორატორია, კლინიკა თუ ოფისი სხვადასხვა დარგში, რომელიც ემსახურება 100 სხვადასხვა პროგრამასა და 9001 სტუდენტს. საუნივერსიტეტო ჯანდაცვის პროგრამების კლინიკური კომპონენტი ხორციელდება კლინიკური სივრცეების მეშვეობით, ასევე პრაქტიკებისათვის, უნივერსიტეტს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სხვადასხვა კლინიკებთან. სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას გააჩნია უსაფრთხოების ადეკვატური რეგულაციები.

უნივერსიტეტის ბალანსი მოიცავს უამრავ მოძრავ ქონებას.

მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულების საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსები (ძირითადი და ლიკვიდური აქტივები) ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებს, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და დაგეგმილი 12 000-ზე მეტი სტუდენტის რაოდენობას, განსაკუთრებით არა-სამედიცინო მიმართულებებში;

ორგანიზაციის შენობებს აქვს: ფოიეები, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების საკლასო ოთახები, ფართი ადმინისტრაციული ოფისებისთვის, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული/ჰიგიენური წერტილები, დარგის სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორია, სასწავლო საკლასო ოთახები, საარქივო ოფისები, სადაც სათანადოდ არის შენახული არსებული და მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რკინის უსაფრთხო ყუთებში.

უნივერსიტეტის ყველა კორპუსს აქვს უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემა; თითოეულ სასწავლო ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობა, შენობებს აქვთ ცენტრალური გათბობის სისტემა; დაწესებულებამ შეიმუშავა ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სახელმძღვანელო, პირველადი დახმარების ინსტრუქციები და სხვა მექანიზმები და ასევე აქვს შესაბამისი საინვენტარიზაციო უწყისი; სახანძრო ტექნიკა განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოყენების

დეტალური ინსტრუქციითა და კომპეტენტური უწყებების მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმებით;

შენობას აქვს დამატებითი საგანგებო გასასვლელი, სადაც კარი შიგნიდან გარეთ იღება და არ არის რკინისგან დამზადებული.

უნივერსიტეტს ჰყავს სამედიცინო პერსონალი, სპეციალური სამედიცინო კაბინეტი, სადაც მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები; სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარების ხელსაწყოებით, კაბინეტში არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება, ბუნებრივი ვენტილაცია და ცივი და ცხელი წყლის მუდმივი მიწოდება.

უნივერსიტეტს ყველა კორპუსში (კუთვნილი ტერიტორიის მასშტაბით) აქვს უსაფრთხოების ვიდეო ჩამწერი და შესანახი საშუალებები, რომლებიც დამონტაჟებულია შენობების შიგნითაც და გარეთაც.

ადმინისტრაციის, ოფისის, ლაბორატორიების, საკონფერენციო დარბაზის, პროფესორების კაბინეტების, საკლასო ოთახების, კვლევითი დაწესებულებებისა და სხვა ერთეულების განაწილება ხელს უწყობს სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ განხორციელებას. დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცე ძირითადად აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით, სწავლების / სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ჩათვლით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭიროა ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოწყობილობები ან ასეთი რესურსით სარგებლობის მიზნით უფლებამოსილ დაწესებულებებთან გაფორმებული შეთანხმებები, შესაბამისი მარაგი (რეაგენტები, სასწავლო მასალები და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგიერთ შენობას სჭირდება რემონტი, ზოგიერთ აუდიტორიაში - მერხების შეცვლა, ჯგუფურ მუშაობაში უკეთესად გამოყენებისთვის. ზოგიერთ სანიტარიულ წერტილს ადაპტაცია სჭირდება, უნივერსიტეტმა დაიწყო სამუშაოები ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

ზოგადად, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი შენობების უმეტესობაში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები. შენობების უმეტესობას გააჩნია სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული წერტილი სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა შესაბამისი ხელშეკრულებები ლიკვიდური აქტივების შეძენის მიზნით.

დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი მტკიცებულებები (წერილობითი შეთანხმება, მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი, ბალანსზე ხანგრძლივი არსებობა (მინიმუმ ავტორიზაციის ვადით), გრანტის მიმღების წერილობითი თანხმობა ზეპირი კონტრიბუციის შემთხვევაში და ა.შ.), რომ დაადასტუროს უფლებები ლიკვიდურ აქტივებზე;

მოწოდებული ინფორმაციისა და ვიზიტის მიხედვით, ჩვენ მივიღეთ საკმარისი გარანტია ამ უნივერსიტეტში რომ უნივერსიტეტს აქვს ავტორიზაციის პროცესში მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობისათვის საკმარისი მატერიალური რესურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ვებსაიტი https://www.atsu.edu.ge
- ინფორმაცია https://www.reestri.gov.ge დან
- შრომის უსაფრთხოების სამსახურის რეგულაციები
- შენობების (კორპუსების) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

რეკომენდაციები:

7.1.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უნდა შეაკეთოს ზოგიერთი შენობა და შეცვალოს მერხები ზოგიერთ აუდიტორიაში.

7.1.2 ზოგიერთ სანიტარულ წერტილს სჭირდება ადაპტაცია, უნივერსიტეტმა დაიწყო სამუშაოებიამ პრობლემების მოსაგვარებლად.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აქვს მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები, მათ შორის წიგნების არქივი, სამკითხველო ოთახები, პერსონალის სივრცე, შეხვედრების ადგილი და ჯგუფური მუშაობის ადგილი და IT-ს სივრცე. ბიბლიოთეკა მუშაობს 60 საათი კვირაში

უნივერსიტეტის სტუდენტებსა და წარმომადგენლებს აქვთ წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე https://library.atsu.edu.ge/ge/p/scientific-bases. ელექტრონული ბიბლიოთეკები მოიცავს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და ელექტრონულ წიგნს. ამჟამად, Elsevier და Ebsco ბაზებზე წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ლოკაციიდან, ხოლო სხვებზე უნივერსიტეტის ტერიტორიიდან.

ბიბლიოთეკის პერსონალმა (ბიბლიოთეკარებმა) ვიზიტისას აჩვენეს შესაფერისი კომპეტენცია საბიბლიოთეკო მეცნიერებაში, მათ შორის, საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებით სარგებლობაში დახმარების კომპეტენცია. ბიბლიოთეკის თანამშრომლები აწვდიან ინფორმაციას სტუდენტებსა და თანამშრომლებს ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული რესურსებისა და სერვისების შესახებ (მაგ., საორიენტაციო სესიები/შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.), ეხმარებიან შესაბამისი ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკები, შესყიდვები) , მართავენ ვორქშოფებსა და ტრენინგებს. ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს მისი

რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას. უმაღლესი სასწავლებელი მუდმივად აახლებს რესურსებსა და სერვისებს სტუდენტებისა და პერსონალის მოთხოვნების საფუძველზე. სილაბუსებში ჩამოთვლილი ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, ექსპერტებმა შემთხვევითი პრინციპით შეარჩიეს წიგნების სილაბუსებიდან და ბიბლიოთეკარმა დაუყოვნებლივ აჩვენება წიგნები და მათი ადგილზე არსებობა. უნივერსიტეტი მუდმივად ანახლებს რესურსებსა და სერვისებს სტუდენტებისა და პერსონალის მოთხოვნებიდან გამომდინარე; უნივერსიტეტი მუდმივად ანახლებს რესურსებსა და სერვისებს სტუდენტებისა და პერსონალის მოთხოვნებიდან გამომდინარე ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს მისი რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის რესურსები, როგორც ქაღალდზე, ასევე ელექტრონულზე, მრავალფეროვანია, მუდმივად ახლდება დარგის განვითარებაზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევით/სამეცნიერო სამუშაოს განხორციელებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს საბიბლიოთეკო რესურსების ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა. ბიბლიოთეკას აქვს წიგნების არქივი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის პერსონალის ოთახი, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, ინფორმაციული ტექნოლოგიების აღჭურვილობის ოთახი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის მიხედვით მივიღეთ საკმარისი გარანტია, რომ უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო გარემო, რესურსები და სერვისები ხელს უწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად მუშაობს მის გასაუმჯობესებლად. ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს მისი რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • დაწესებულებაში ვიზიტი; • ვებსაიტი https://www.atsu.edu.ge • ბიბლიოთეკის დებულება (დანართი) • ბიბლიოთეკის გამოყენების წესები (დანართი) • ბიბლიოთეკის ვებ-საიტი. • ელექტრონული ბიბლიოთეკა https://library.atsu.edu.ge; • ელექტრონული კატალოგი https://atsu.library.ac.ge; • მონაცემთა ელექტრონული ბაზები https://library.atsu.edu.ge/ge/p/scientific-bases. • ინფორმაცია ინვენტარიზაციის წიგნების შესახებ (დანართი).
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან.

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების უწყვეტობას.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ ავითარებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განახლებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინფრასტრუქტურას, რომელიც შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს პროცესებს და უზრუნველყოფს მათ წარმატებით განხორციელებას სასწავლო პროცესში. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ოთახებში ფართოდ გამოიყენება 20-ზე მეტი სმარტ დაფა. საკონფერენციო დარბაზი და მედიცინის ფაკულტეტის ოთახები აღჭურვილია თანამედროვე ვიდეომაუწყებლობის სისტემით. მედიცინის ფაკულტეტმა დანერგა და წარმატებით იყენებს OSCE-ს საგამოცდო სისტემას, აუდიო და ვიდეო დაკვირვებისა და ჩაწერის სისტემით. ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების მექანიზმები.

უნივერსიტეტს აქვს IT რისკების მართვის პროცედურები, მონაცემთა ადეკვატური და ეფექტური დაცვა უზრუნველყოფილია (მათ შორის პერსონალური მონაცემების) და საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა ფასდება. უნივერსიტეტს აქვს კარგი სარეზერვო სისტემები. უნივერსიტეტის IT ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივად და განგრძობითად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის და გამოიყენება საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისთვის.

სტუდენტთა მომსახურების სისტემა კარგად მუშაობს მთავარ კორპუსებში და ქართულ ენაზე, თუმცა უსდს სჭირდებათ საინფორმაციო სისტემის დახვეწა ინგლისურ ენაზე, რათა უკეთ მოემსახუროს უცხოელ სტუდენტებს.

უსდ ბიზნესის უწყვეტობას ძირითადად უზრუნველყოფს დანაზოგებით, ამის შესახებ იხილეთ 7.4. უსდ-ს აქვს გარკვეული გეგმები შესრულების შეფასებასთან დაკავშირებით, არის შემოღებული ფორმები, მაგრამ მათი გამოყენება არ დაწყებულა.

დაწესებულებას გააჩნია ოფოციალური ვებ-გვერდი, რომელიც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს ემსახურება, შეიცავს საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის დაწესებულების მისიას, საქმიანობას, სტრუქტურას, სასწავლო პროგრამების კატალოგს, პროგრამებისა და პროგრამებზე სტუდენტთა მიღების კრიტერიუმებს, სწავლის შესაძლო შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლებისა და სწავლის პროცესსა და შეფასებებს, ადმინისტრაციულ/აკადემიურ/სამეცნიერო კადრებს, ბიბლიოთეკის

ელექტრონულ კატალოგს, მარეგულირებელ დოკუმენტებს, სტრატეგიული განვითარების გეგმებს, წლიურ ანგარიშებს, ფინანსურ ანგარიშებს, მიმდინარე და განხორციელებული კვლევას (შედეგები), ძირითად სტატისტიკას, ხელმისაწვდომ სერვისებს და დასაქმების შესაძლებლობებს და სხვას; ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

ინტერნეტში არის ინგლისურენოვანი ინფორმაციის ნაკლებობა, მათ შორის წლიური ანგარიშების, ფინანსური ანგარიშების, ძირითადი სტატისტიკების, რომელიც ავსებენ წლიურ ანგარიშებს.

ამის მიუხედავად, ინფორმაცია რეგულარულად განახლდება, რათა დაცული იყოს ინფორმაციის დროულად მიღების ინტერესი.

უნივერსიტეტს აქვს ძალიან აქტიური სოც-მედია გვერდები - ფეისბუქი https://www.facebook.com/AkakiTsereteliStateUniversity/

ადგილზე ვიზიტის დროს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპერტებმა მიიღეს საკმარისი გარანტია, რომ უნივერსიტეტი მეტწილად აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- აწსუ-ს ვებ-გვერდი
- სოციალური მედიის გვერდები https://www.facebook.com/AkakiTsereteliStateUniversity/

რეკომენდაციები:

7.3.1. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ყველა საჭირო საინფორმაციო სერვისები ინგლისურ ენაზე, არაქართულენოვანი სტუდენტებისა და პერსონალისათვის

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.

- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწუს მიმდინარე ბიუჯეტი 30 მილიონი ლარია, მათ შორის 4,5 მილიონი ლარი დანაზოგია წინა წლის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტი მოცემულია ხაზინის მოთხოვნების შესაბამისად ბიუჯეტი სამოქმედო გეგმის მიხედვით არ არის მოწოდებული და არ არის ნაჩვენები ბიუჯეტის კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან. უნივერსიტეტი ეფექტურად განკარგავს დანაზოგს, იდება დეპოზიტზე და იღებს საპროცენტო შემოსავალს. ბიუჯეტის მიხედვით, ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია რისკების ადეკვატური და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, ხოლო უსდ-სათვის ხელმისაწვდომი სახსრები არის ადეკვატური და საკმარისი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების ეფექტურად შესასრულებლად.

უსდ-მ დაიწყო „საბუღალტრო პოლიტიკის“ განხორციელება მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ტერიტორიული ორგანოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

საფინანსო ანგარიშები ადასტურებენ ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს, სამართლიანობასა და სისრულეს.

უნივერსიტეტს აქვს ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის/სწავლების/კვლევის/სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის მდგრად და განგრძობად განვითარებას, ადამიანური რესურსები/ინფრასტრუქტურა და ადეკვატური და საკმარისი ფინანსური რესურსები სამეცნიერო კვლევების უწყვეტი განხორციელებისთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა ინდივიდისთვის.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი გამოყოფს ადეკვატურ ფინანსურ რესურსებს სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, პოსტ-დოქტორანტთა აქტივობებისთვის, როგორიცაა კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, ბიბლიოთეკის ფუნქციონირება და მუდმივი განვითარება და ა.შ.

უნივერსიტეტის მართვითი ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ფრაგმენტულია. უსდ ცალ-ცალკე წარმოადგენს ფინანსური მართვის პროცესის კომპონენტებს - აღრიცხვა, ბიუჯეტირება, ხაზინა, შესყიდვები, მენეჯმენტი, მონიტორინგი, მაგრამ ნაკლებია სინქრონიზაციის პროცესი, რაც აისახება სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, ანგარიშებზე, არ არის ნაჩვენები KPI-ის განვითარება. რაც ართულებს ორგანიზაციის განვითარების შეფასებას ეკონომიური, ეფექტური და პროდუქტიული კრიტერიუმების მიხედვით.

უნივერსიტეტს არასდროს განუხორციელებია ინდივიდუალური გარე ან შიდა აუდიტი. 2023 წელს საჯარო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის ანგარიში, რომელშიც შედიოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამის მიხედვით არსებობს საკმარისი რისკები რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების მიმართულებით. უნივერსიტეტმა უნდა ჩაატაროს გარე აუდიტი სამივე მიმართულებებით: ფინანსური, ეფექტიანობისა და

შესაბამისობის აუდიტი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ აუდიტორს უნდა ჰქონდეს ვალიდური IPSAS სერტიფიკატი. ამ საერთო გამოწვევების მიხედვით ექსპერტებმა მიიღეს მხოლოდ ნაწილობრივი გარანტია უნივერსიტეტის მიერ რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების შესახებ, უსდ-ის მიზნების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ვიზიტი; • აწსუს ვებ-გვერდი • აწსუს ბიუჯეტი; • შემოსავლისა და ხარჯების დინამიკა • ფინანსური ანგარიშები • აწსუს სტრატეგიული და სამომედო გეგმები;
რეკომენდაციები: 7.4.1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩაატაროს გარე-აუდიტი სამი სრული მიმართულებით: ფინანსური, ეფექტიანობისა და შესაბამისობის. აუდიტორს უნდა ჰქონდეს მოქმედი IPSAS სერტიფიკატი 7.4.2. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს გამჭვირვალობა, არსებობს საკმარისი რისკები - რესურსების ლეგალური, ეკონომიური, მდგრადი, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების მიმართულებით. 7.4.3. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტი შემუშავდეს სამოქმედო გეგმის თანახმად, იყოს მიკვლევადი და დაკავშირებული შესაბამის KPI-ებთან
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.